# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 13 თებერვალი 1999 №25 (798) | ფასი 50 თეთრი


3 საით, გიო?



გიორგი ქინქლაძეს ისევ ინგლისისკენ მიუწევს გული

4 მორიგი სკანდალი, ისევ ინგლისში

„ჩარლტონის“ სტადიონ „ველი გრაუნდის“ სახურავზე პროჟექტორების მწყობრიდან გამოყვანის მცდელობისას ოთხი პიროვნება დააკავეს




5 გუშინ, ხვალ და კამპ ნოუზე

BARCELONA
VS
REAL

ხვალ დიდი მატჩია — ბარსელონაში „რეალს“ 14 სეზონია არ მოუგია. გატყდება ნავსი?



# დინამო ყაბულსაა $2 000 000 წარადგინოს

„გინდათ ფეხბურთის თამაში? მაშინ გადაიხადეთ 200 000 დოლარი“ — დაახლოებით ამდაგვარია ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის კლუბებისადმი.

მას შემდეგ, რაც ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ განაცხადა და მერე იგივე ალმასკომმაც დაადასტურა, კარგა ხანი გამოხდა. ქართული კლუბების ოფიციალური აზრი აქამდე არავის მოესმინა.

და აი, გუშინ საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ იპირველა. ჩემპიონი კლუბის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა რომან შოთაძემ ამ მოთხოვნაზე დასტური ოფიციალურად გამოაცხადა, რის შესახებაც პრეზიდენტ ჟორდანიას სახელზე უსტარიც აფრინა.


ბადრი კეთილაძის ფოტო

რომან შოთაძე: 200 000 ჩვენგან...

„დინამო“ თანახმაა მომავალ, XI ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ფედერაციას 200 000 დოლარის შესაბამისი ლარის გარანტია წარუდგინოს. ახლახანს სასამართლოში გამართლებული დინამოელების ბიუჯეტს ივნისში უეფას მიერ დარიცხული 390 000 შვეიცარიული ფრანკი შეავსებს. ეს თანხა ბოლო ევროთასებზე მონაწილეობისთვის ერგებათ.

უეფა ევროტურნირების სხვა შარშანდელ მონაწილეებთანაც „ვალშია“. „დინამოს“, ნესით, „ბათუმმა“, „კოლხეთმა“ და „ტორპედომაც“ უნდა მიბაძონ, თუმცა ჯერჯერობით არ ჩქარობენ იმ აზრს დაეთანხმონ, რაც ჩემპიონატის ჩაუშლელად გასამართად აუცილებელია.

წინა წლებში ჩემპიონატში სათამაშოდ ფედერაცია მაქსიმუმ 2 000 დოლარს ითხოვდა, რომლის გადახდას თითქმის ყველა აუდიოდა, მაგრამ მთელი წლით გუნდის შენახვა რომ ბევრს უჭირდა, ჩვენი ჩემპიონატის დონეს კარგად ეტყობა.

200 000 დოლარის ქართული ექვივალენტი, ცხადია, ზღაპრული თანხა არაა, მაგრამ აქედანვე იოლი მისახვედრია, მის გარანტიას ყველა პირველჯგუფელი რომ ვერ წარადგენს. ეს თავისთავადაც შეამცირებს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობას, რისკენაც ფედერაცია გაისიდანვე აპირებს სვლას.

# სირიის გზაზე მდგომმა ლევან მოსეშვილმა არ იცის, მოუყრის თუ არა თავს ნაკრებს

24 და 27 თებერვალს კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ორ მატჩში, შესაბამისად, ლატვიასა და იტალიას უნდა დავუხვდეთ. ჩვენთვის ავადსახსენებელი ამ ციკლის ეს შეხვედრები საქართველოს ნაკრებისთვის იქნებ არცთუ მნიშვნელოვანი იყოს, რომ არა ელემენტარული თავმოყვარეობა — ბოლოსდაბოლოს, ერთი თამაში მაინც მოვიგოთ. სურვილი, რა თქმა უნდა, დიდია, აი, სანუგეშო კი არაფერი.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ალმასკომის ბოლო სხდომაზე დამტკიცდა, რომ 15 თებერვლიდან ეროვნულ ჩემპიონატში შესვენება გამოცხადდებოდა და რომ ეს დრო სანაკრებო მატჩებისთვის მზადებას დაეთმობოდა. მართალია, ნაკრების მწვრთნელ ლევან მოსეშვილს მოთხოვნა დაუკმაყოფილეს, მაგრამ ახლა სანაკრებო ბირთვის, ანუ ლეგიონერების ჩამოყვანა შეიქნა სათუო.

ის, რომ ქვეყნის პირველი გუნდი სრულფასოვნად ვერ მოემზადება, უკვე ნათელია. სამაგიეროდ, ჯერაც გაურკვეველია ლეგიონერების საკითხი, რადგან მათი ჩამოსვლა-არჩამოსვლა ფინანსებთან ყოფილა დაკავშირებული.

ახლახან ლევან მოსეშვილმა ნაკრებში გამოძახებულთა ვინაობაც გაგვანდო (მათ შორის შვიდი ლეგიონერია), თუმცა მოსალოდნელ უცხოურ ვოიაჟზე არაფერი უთქვამს. გუშინ კი გაცხადდა, რომ ამ დღეებში სირიიდან დაბრუნებულ „მაკაბის“ მწვრთნელ ვაჟა მხეიძეს იქ „დინამოსთვის“ შეკრება გაუშანსავს, ოღონდ ჩამოდით და ყველანაირ ხარჯებს ჩვენ ვიკისრებთო, უთქვამთ მხეიძისთვის, რომელმაც თავის მხრივ მოსეშვილი ჩააყენა საქმის კურსში. მოსეშვილმა კი, მას მერე, რაც სამგზავრო ფული დაიგულა, შეგირდებს ჩემოდნების ჩალაგება უბრძანა და დინამოელებთან ერთად ეროვნული პირველობის მონაწილე ნაკრების კანდიდატებიც იახლა სირიაში.

საქმე კი ისაა, რომ ჩვენებურებს ავტობუსით მოუწევთ მგზავრობა, რაც ნაკრების თავკაცობის დამატებითი საწუხარია — ხუთი დღე-ღამე გზაში ყოფნა სულაც არ გახლავთ სახუმარო ამბავი.

ეს კიდევ არაფერი, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფ ლევან მოსეშვილს საფიქრალი სხვაც ბევრი ჰქონდა, რაზეც წასვლამდე გვესაუბრა:


იხილეთ მეცხრე გვერდი



ბადრი კეთილაძის ფოტო

მოსეშვილი: ათი კაცი მაინც შემაკრებინა...

# გიორგი ქინქლაძე: ინგლისის იქით გზა არ მაქვს



ბოლო ხანს ერთობ აქტუალურია საქართველოს ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის“ ნახევარმცველის გიორგი ქინქლაძის ინგლისში დაბრუნების საკითხი.

ჰოლანდიური კლუბის ხელმძღვანელობა ჩვენებურს 12 მილიონ გულდენად აფასებს.

სხვადასხვა საინფორმაციო არხებზე დაყრდნობით, ჩვენში უკვე ბევრი აცხადებს — ქინქლაძე ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერის ნევრიაო. „ლიპერპული“, „ჩესლი“, „ნიუკასლი“, ორიოდ დღის წინ კი, სულაც ბირმინგემის „ასტონ ვილა“ დასახელდა ჩვენებურით დაინტერესებულ კლუბთა შორის.

ჰოდა, საკუთარი თუ მკითხველთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გუშინ ამსტერდამში თავად გიორგის დავუკავშირდით და საქმეში გარკვევა ვთხოვეთ.

**— გიორგი, შეგვიძლია დავწეროთ, რომ უკვე პრემიერლიგის რომელიმე კლუბის წევრი ხარ?**

— არა. ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. თავად არ ვიცი, კარიერას სად გავაგრძელებ.

**— ინგლისურ კლუბში გადადისო?**

— კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. ისე, ალბათ, სწორედ ინგლისური გუნდის ვარიანტია ყველაზე მეტად მოსალოდნელი.

**— თბილისში ისიც ითქვა, ქინქლაძემ „ასტონ ვილასთან“ გააფორმა კონტრაქტიო.**

— ბირმინგემელებთან არც მილაპარაკია. ერთი ეგ იყო, ინგლისურ პრესაში დაიწერა, თითქოს „ვილას“ მწვრთნელ ჯონ გრეგორის მადრიდის ატლეტიკოელი ჟუნინიოს შემცვლელად ვეგულებოდი. გეცოდინებათ გრეგორის მისი შეძენა სურდა, მაგრამ ესპანელებმა იუარეს.

**— ესე იგი არავინ შეგხმიანებია?**

— არა, არსაიდან.

**— ისევ „აიაქსში“ ვარჯიშობ?**

— ჯერჯერობით ასეა. ფორმის შესანარჩუნებლად სხვა რა გზა მაქვს.

**— „აიაქსთან“ შენს ურთიერთობას სახარბიელო ვერ ეთქმის. ამსტერდამულ კლუბს შენს სანაცვლოდ დასახელებული თანხა რომ არავინ გადაუხადოს?**

— მაშინ მაისამდე, სეზონის დამთავრებამდე მოვიცდი.

**— „აიაქსის“ ახალ თავკაც იან ვოუტერსთან არ გისაუბრია?**

— ადრე ველაპარაკე და გადავწვიტეთ, რომ სჯობს „აიაქსიდან“ წავიდე.

**— სასურველ ფორმაში თუ ხარ?**

— რასაკვირველია. გუნდთან ერთად მუდვივად ვვარჯიშობ.

**— ახალი კლუბის ვინაობა როდისღა გაირკვევა?**

— ალბათ მაინც ინგლისში წავალ, რადგან სატრანსფერო სეზონი უკვე ყველგან დახურულია და ათ დღეში იქაც დაიკეტება.

კობა ინასარიძე

# ხომ არ გვეთამაშა?

27 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი სლოვენიის ნაკრებს დაუპირისპირდება. ამ მატჩისთვის მოსამზადებელი პერიოდი კი ჩვენებმა კარგა ხანია, ჩაავდეს. უკრაინის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა თავისთავად სასარგებლოა (იმედია, 20 მარტს არაფერი შეიცვლება), თუმცა არა მგონია პრინციპულ ორთაბრძოლამდე ერთი კვირით ადრე ჩატარებულმა საკონტროლო მატჩმა ძირითადი ბირთვის (პირობითად, რა თქმა უნდა) საფუძვლიან შეთამაშებას ხელი შეუწყოს. აგერ ბატონო, ჩვენი ჯგუფიდან ყველა ფუსფუსებს. ისე, ხუმრობა იქით იყოს და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი კარს მოგვადგა. რა ვიცი, იქნებ ჯობდა, საქართველო — აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრებების ამასწინანდელ შეხვედრასთან ერთად უფროსებსაც ეთამაშათ — ჩაგვეთვლებოდა მაინც.

ასე იმიტომ ავწუწუნდით, რომ ლატვიელთა გეგმებს გავეცანით. ბალტიისპირელები შესარჩევი ციკლისთვის ემზადებიან. რეზო ძოძუშვილს ნაკრები ორი დღის წინ შეუკრებია, ორად გაუყვია და სახელდახელო საკონტროლო მატჩიც გამოუცხადებია, პირველ შემადგენლობას მეორისთვის 5:2 მოუგია. ლატვიის ნაკრები 18 თებერვალს ისრაელს გაემგზავრა, თან საბაზო გუნდ „სკონტოსაც“ იახლებს და ათდღიან შეკრებას მოიწყობს. 20 თებერვალს რეზო ძოძუაშვილის დამოძღვრილები ხარკოვის „მეტალისტს“ შეხვდებიან, ოთხი დღის შემდეგ კი ისრაელის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ნაკრების პარალელურად ამხანაგურ მატჩებს „სკონტოც“ გამართავს. რეზო ძოძუაშვილის თქმით, ამ კლუბის ისრაელის გუნდებთან გაჯიბრება ისევ და ისევ ნაკრებს წაადგება სასიკეთოდ.



რევაზ ძოძუაშვილი

ლატვიელთა მთავარი მწვრთნელისვე განცხადებით, ლატვიის ნაკრები ისრაელური შეკრებით დაკმაყოფილებას არ აპირებს. ქვეყნის ფედერაციის შეწევნით 15 მარტიდან ლატვიელებს კიდევ ერთი ათდღიანი შეკრება (ამჯერად იტალიური) ელოდება. იტალიაში ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით გაემართება და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრასაც გამართავს. ასე რომ, ლატვიელები შესაშურ სამზადისში არიან.

პაატა კვანტალიანი

# ტრაბზონმა გვიგანა, უვაკვე კი ემზადება

თურქეთში შეკრებაზე მყოფი „ბათუმის“ შესახებ სულ ახლახან გამცნეთ. ისიც გაუწყეთ, რომ ბათუმელებს სამი საკონტროლო შეხვედრა ჰქონდათ დაგეგმილი — „ტრაბზონსფორთან“, „რიზესფორთან“ და „ხოფასფორთან“. ამ მატჩების ჩატარება კი 11,13 და 15 თებერვალს იყო ნავარაუდევი. ზღვისპირელებმა ორი შეხვედრა გუშინწინ გამართეს, მაგრამ არა წინასწარ შეგულებულ გუნდებთან დღეს კი უკან გამობრუნდებიან. სანამ ამაზე მოგითხრობდეთ, წინასწარ დაგეგმილ და უკვე ჩაშლილ მატჩებზე გეტყვით.

„ტრაბზონსფორმა“ თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში შინ „ალთაისთან“ 0:3 წააგო. ეტყობა, საშუალო დონის გუნდთან განადგურებამ ერთ დროს ჩვენებურებით სავსე გუნდს ქართველებთან ჭიდილი გადააფიქრებინა. „ხოფასფორთან“ უთამაშებლობის მიზეზზე ვერას გეტყვით, „რიზესფორი“ კი თურმე სტამბოლში ყოფილა შეკრებაზე.

მიუხედავად ამისა, ბათუმელებმა მაინც გამონახეს მეტოქე, ორჯერ ითამაშეს და ორჯერვე თურქული პირველი ლიგის (ჩვენებურად მეორე ჯგუფის) გუნდებს გაეჯიბრნენ.

თავდაპირველად ხუთეულში მყოფ „არდამადსფორს“ შეხვდნენ და პაატა მაჭუტაძის კინკილა ბურთით დაამარცხეს 1:0. მეორე მეტოქე „პაზარსფორი“ იყო და მატჩი აქაც 1:0 დასრულდა, ოღონდ მასპინძელთა სასარგებლოდ.

ბათუმელები მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილნი დარჩენილან, გაამართლეს გუნდში მიწვეულმა ახალმა ფეხბურთელებმაც, მხოლოდ გუნდის ვეტერანმა ლიბერო მალხაზ მახარაძემ ვერ შეძლო ტრავმის გამო საფუძვლიანად მომზადება.

ახლა „ლოკომოტივთან“ სათასო მატჩებამდე ზღვისპირელები ადგილზე ივარჯიშებენ. ორ საკონტროლო თამაშსაც გამართავენ და ორჯერვე მეორეჯგუფელ თანაქალაქელ „კოლეჯთან“. ალბათ, ამ მატჩებში შედგება ნიგერიელი უჩ უვაკვეს დებიუტი და ამის მერე გადაწყდება, შეიყვანენ თუ არა უვაკვეს „ბათუმის“ სათასო და საჩემპიონატო განაცხადში.

გიორგი ვაშაკიძე

# ფინკეს მიზანი არ შეუცვლია

ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მზადებას იანვრის დასაწყისში შეუდგა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ უკეთ მომზადების მიზნით ორჯერ მოაწყო შეკრება პორტუგალიაში. ალბუფეირას გერმანელები პირველად იანვრის შუა რიცხვებში ეწვივნენ, მეორედ კი 3 თებერვალს. ფრაიბურგელებმა პორტუგალიაში ორჯერვე თითო-თითო კვირა დაყვეს. პირველ შეკრებაზე სამივე ქართველი წავიდა, მეორედ კი მხოლოდ ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი. ალექსანდრე იაშვილმა კი ჯვარედინი იოგების ოპერაცია გაიკეთა და როგორც „ფრაიბურგს“, ისე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დაახლოებით ექვსი თვით გამოაკლდა. ეს დანაკლისი გერმანელებს უკვე დაეტყოთ. მეორე შეკრებისას გამართულ სამ საკონტროლო მატჩში მათ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლეს — პოლონეთის „ლოძთან“ 1:2 წაგებულ მატჩში თავი ტუნისელმა სელიმიმ გამოიჩინა. ხოლო „დუისბურგთან“ და რეგიონალლიგის „როიტლინგენთან“ ფრედ 0:0 დაასრულეს შეხვედრები. ერთ-ერთ თამაშში მძიმედ დაშავდა „ფრაიბურგის“



ლევან ცქიტიშვილი

კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი — ლიბერო შტეფან კორელი, რომელსაც იაშვილის მსგავსად საკმაო ხნით მოუწევს დასვენება. მისი ტრავმა ფრაიბურგელებს დაცვაშიც დიდ პრობლემებს შეუქმნის.

პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ ფინკემ ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა: „მიზნად ისევე, როგორც ჩემპიონატის დასაწყისში, კვლავაც მეთხუთმეტე ადგილზე გასვლას ვისახავთ, თუ მეტს მივაღწევთ, ეს ჩვენთვის ნამდვილად დიდი წარმატება იქნება. ახალწვეული ლევან ცქიტიშვილი განსაკუთრებით კარგად კობიაშვილთანაა შეთამაშებული და ვიმედოვნებ, ქართველთა დუეტი ძალიან დაგვეხმარება“ — დასძინა ბოლოს მწვრთნელმა.

ვანო ოქროპირიძე

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

# ქართველები სკუადრა აძურას ნაკვალევზე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ამასწინანდელი ალმასკომის სხდომის დასრულებისას ჟურნალისტებს განგვიცხადა — მიმდინარეობს მოლაპარაკება იტალიაში კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე მწვრთნელთა კურსებზე ჩვენი მწვრთნელების გასაგზავნად და პასუხი უახლოეს ხანში გვეცოდინებაო.

კოვერჩანოს საწვრთნელი ბაზა ფლორენციის მახლობლად მდებარეობს. იქ თვით იტალიის ეროვნული ნაკრები ემზადება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იტალიელები გაგებით მოეკიდნენ ქართული ფეხბურთის მამების თხოვნას და გამოხმაურებამაც არ დააყოვნა, მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელი გრაფიკი ძალიან გადატვირთულია. ფაქტობრივად შეუძლებელიც კი ყოფილა ამ საქმის გაჩარხვა, მაგრამ...

ასე რომ, გადაწყდა, კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე, ერთკვირიან კურსებზე, მაისში ათი ქართველი სპეციალისტი გაემგზავრება თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გასაღრმავებლად და გამოცდილების მისაღებად. ვინ მოხვდება ამ ათეულში ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ აპენინებზე გასამგზავრებელთა ვინაობა უახლოეს ხანს გაირკვევა.

გიორგი ვაშაკიძე

# გაჭირვებული ხავსს ეჭიდება

**ოდიში 2:0 სამგურალი**

**1:0 ვახანია (42), 2:0 ტაბალუა (88)**

**ოდიში:** კალანდია, ჭურღულია (ღურწკაია 70), კ. კვეკვესკირი, აკობია, აფაქიძე, ჯავაშვილი, ტაბალუა, კუტალია (მებონია 73), მარკოზია, ვახანია (გოგოხია 76), გვიჩია (იოსავა 60)

**სამგურალი:** ხაჩირაშვილი (ბობოხიძე 46), ი. ხაჭაპურიძე, ლ. ქობულაძე (გ. ჯანელიძე 46), ჯავახაძე, გლუნჩაძე, მ. ჯინჭარაძე, ძაგნიძე, ახალაძე, მახვილაძე, ბურნაძე, დარსაძე

პირველი წრის შემდეგ „სამგურალის“ შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მომხდარა. გუნდი ერთბაშად შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა, ახალწვეული კი მხოლოდ ოთხია. მათ შორის ორი ექსოდიშელი — რევაზ გლუნჩაძე და ზუგდიდელთა ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი ზვიად ენდელაძე.

„ოდიში“ კი... ზუგდიდელების გასაჭირი და პრობლემები ალარავის უკვირს. სოსო ჭედია და კომპანია ცდილობს, როგორმე ჩემპიონატი შედეგიანად ჩაამთავროს. მიზანი კი პირველ ჯგუფში დარჩენაა.

ორი აუტსაიდერის შეხვედრა ყველასთვის მოულოდნელად საინტერესო გამოდგა. ზუგდიდელებმა შეტევებით დაიწყეს და მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდნენ სტუმართა მცველებს და საბოლოო დარტყმების შესრულებისას ოდნავი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, იქნებ ანგარიში ადრევე დასველებულიყო. წყალტუბოელები კი კონტრშეტევაზე აგებდნენ თამაშს და რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა.

ტაიმის ბოლოს გოლი მაინც გავიდა. კუტალიამ შეძლო მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შესვლა და ბურთი ტაბალუას გადააწოდა, მანაც მეტად ლამაზად და ეფექტურად მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ვახანია, რომელმაც შეუჩერებლად დაარტყა და ხაჩირაშვილი დაამწუხრა.

მეორე ტაიმში მდგომარეობა შეიცვალა, ეტყობა, ოდიშელები ფიზიკურად ჯერ კიდევ მზად არ არიან და მათზე გაცილებით ჯანიანმა სტუმრებმა თამაშის სადავეები ხელში ჩაიგდეს. მათი შეტევები სულ უფრო მწვავდებოდა და რომ არა ზუგდიდელთა ახალბედა მეკარის გიორგი კალანდიას თავგანწირული და საიმედო თამაში, სტუმრებიც იხეირებდნენ, მაგრამ...

მეორე გოლი კი არალოგიკურად გავიდა. მატჩის დამთავრებას ორი წუთი აკლდა, როცა სტუმართა მეკარემ საჯარიმოში უხეიროდ ითამაშა, ამით ისარგებლა მთელი შეხვედრის განმავლობაში საუკეთესოდ მოთამაშე ტაბალუამ, ბურთი აართვა და ცარიელ კარში შეაგორა.

ამ წაგებით მაინცდამაინც არც წყალტუბოელებს დასწყვეტიათ გული. ბოლო წლებია, ზუგდიდელებთან არცერთხელ წაგვიგია და მერე მთელი წელი გვიჭირდა, დღეს კი წავაგეთ და შეიძლება კარგად დავცადოთო — თავს იმშვიდებდნენ იმერლები.

თენგიზ ქოჩუა ზუგდიდიდან

# ვინ არის დამნაშავე?

## დაგეძებ და დაგეძებ

საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგებს ეძებს — მწვანე მინდვრის ამხანაგებს, რომლებთანაც ბურთის გაგორებას შეძლებს, თავისი ფეხბურთელების დონეს, მომზადებას გააკონტროლებს და თუკი რამ დასახვეწი იქნება, დახვეწს კიდეც.

ბოლო საკონტროლო შეხვედრა ქართველებმა ნოემბერში გამართეს ესტონეთის ეროვნულ ნაკრებთან და მაშინაც ამიერკავკასიურ „აბლავაში მივყევით“, ბალტიისპირელები ჩვენს გარდა სომხებს და აზერბაიჯანელებსაც ესტუმრნენ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ეს მატჩი ქართულ მხარეს არ გაუხერხებია, იგი თვითონ ესტონელებმა მოგვართვეს.

მას შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები სპარინგის ძებნაშია. ეძებს ყველა, ფედერაციიდან დაწყებული ნაკრების მესვეურებით და ფიფას სპეციალური აგენტებით დამთავრებული. საშველი კი არ დაადგა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

ეტყობა, ცუდად ეძებენ.

არადა, მარტის ბოლოს სლოვენიის ნაკრები თბილისში ჩამოვა, რათა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი გაიმართოს. 27 მარტს ჩვენს ეროვნულ ნაკრებს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა ელის. იგი კი ბაიბურშიც არ არის, ვერ ემზადება ისე, როგორც საჭიროა და აქედან გამომდინარე, შეიძლება არც შედეგი ჰქონდეს სასურველი.

კი, 20 მარტს უკრაინის ეროვნული გუნდი ვალს გაგვისტუმრებს და გვეწვევა, მაგრამ ერთ კვირაში მოგვარებული პრობლემის და ნასწავლი ჭკუის რა გვითქვამს. მოასწრებს კი ვლადიმერ გუცაევი 20-დან 27 მარტამდე ყველა ხარვეზის გამოსწორებას? ეროვნული ნაკრების გუნდად ჩამოყალიბება და შეთამაშება ხომ ცოტა უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე ერთი (ორი, სამი) კვირა.

ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე მიაჩნდათ.

და რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს ჯგუფში?

ამხანაგურ (საკონტროლო მატჩებს) თამაშობს ლატვია, სლოვენია, ალბანეთი, საბერძნეთი. ნორვეგიამ კი, იმ ნორვეგიამ, მთავარ მეტოქედ რომ გვესახება, სულაც ერთი ტურნირი მოიგო ისრაელში და ახლახან იტალიელებსაც გაუგორა ფრე. ერთი სიტყვით, ემზადებიან მეტოქეები.

მომზადებულ გუნდთან თამაში კი არც ისე ადვილია. თუ არა და აგერ ჩვენ და აგერ ნორვეგია (ლატვია, სლოვენია, ალბანეთი, საბერძნეთი). რაც მოხდება, დავინახავთ.

ბადრი ილამაძის ფოტო



1998 წლის ნოემბერი. საქართველო — ესტონეთი. მას შემდეგ სამი თვე გავიდა.

## მე ისეთ აგენტს რა ვუთხრა...

ახლა ფიფას ლიცენზირებულ და ფიფასვე მატჩებზე დასპეციალებულ მავან აგენტ ვილი კონრადზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

კარგს ვერას ვიტყვით, საქებრად ენა არ გვიბრუნდება — რომ მოდგა ეს კაცი და აგზავნა და აგზავნა ფაქსები სფფ-ში, ტაილანდი ტურნირზე იწვევს საქართველოს ნაკრებსო, ვის ატყუებდა ნეტავი? მისთვის რომ დაგვეჯერებინა, ხან ასი პროცენტით იყო საქმე გაკეთებული, ხან ოთხმოცით, ბოლოს კი ისე მოხდა, საქართველოს მაგიერ ბრაზილიელი ახალგაზრდები მიიწვიეს.

ამას ქართულ პრესაში მწვავე რეაქცია მოჰყვა — ტაილანდმა გადაგვაგდოო, მოგვატყუაო (მოკლედ, როგორც ხდება-ხოლმე)...

ჩვენი აზრით, არც მთლად მტყუანია ტაილანდის მხარე. რაც გინდა თქვი და საქართველოს ეროვნული ნაკრები გაცილებით ნაკლებს ნიშნავს იქაური ტურნირის პრესტიჟისთვის, ვიდრე ბრაზილიისა (თუნდაც ახალგაზრდული, მაგრამ მაინც ბრაზილიისა).

და ერთიცაა, არ გვესმის, რად უჯერებდნენ აგენტ ვილი კონრადს, როცა ტაილანდის მხარე ყოველდღე ინტერნეტის ქსელით ასეთ ცნობას ავრცელებდა — ტურნირში მასპინძლები, უნგრელები, სამხრეთკორეელები და თუ დავითანხმეთ, ბრაზილიელები ითამაშებენო. ხანდახან ტუნისის და მაროკოს ნაკრებების სახელიც გაიელვებდა ინტერნეტში, მაგრამ არამც და არამც საქართველო.

იმ კაცს კი საიდან რა მოჰქონდა, გაუგებარია.

თუ ისეთი კაცია ვილი კონრადი, ვისაც სიზმარი დაეჯერება?

სიზმრისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ფიფას ლიცენზირებული აგენტის პირობაზე ცოტა არასოლიდურად კი იქცევა და უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მასთან ურთიერთობა გადაგვესინჯა?

თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ არსებობს ასეთი ვინმე — ვილი კონრადი.

თუ არა და, ტაილანდს თავი დავანებოთ და სხვა ტოლი ვნახოთ.

## შედეგი? შედეგზე ბოდიში

რახან სანაკრებო გრაფიკები უკვე შედგენილია და მათში საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ადგილი არ გამოინახა, არსებობს სხვა გამოსავალიც — ძლიერ კლუბებთან სპარინგი.

დალოცვილებო, უფულო და გაჭირვებული ქართული კლუბებიც კი ახერხებენ ახლომახლო შედარებით ღირსეული მეტოქის მოძიებას და ეროვნულ გუნდს გაუჭირდება?

ეეჰ! გული გულობდეს, თორემ...

აგერ არაა, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა? ამ ქვეყნებში სხვა ჩვენს მეზობლებთან შედარებით ფეხბურთი საკმაოდ ნორმალურ დონეზე დგას და სულ არარაობას (ან აზერბაიჯანთან სპარინგს) ისევ „ტრაპზონსპორთან“, „სპარტაკთან“, ანაც რომელიმე უკრაინულ კლუბთან გაჯიბრება რომ სჯობს, ამას ფიქრი უნდა?

ბოლოს კი ერთხელაც დავასკვნით — საქართველოს ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი ციკლი ჩავარდნილი იყო, ჩავარდნილი არის და თუ ასე გაგრძელდა, ჩავარდნილი იქნება.

შესაბამისად, შედეგიც არ მოვა სასურველი.

და მერე, როგორ გგონიათ, ვილი კონრადის ბოდიში უშველის საქმეს?

ბოდიში რომ წამალი იყოს, ფიფა ფულის მაგიერ დაგვირიგებდა.

და ერთიცაა საინტერესო — მაინც ვინ უნდა გაართვას თავი ამ პრობლემას, ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, შუაში, ვინმეს ხომ უნდა მოეთხოვოს პასუხი?

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ვისაც არ უნდა, ნუ უნდა

## გადავარჩინოთ 21-ე საუკუნის ქართული ფეხბურთი

ორი კვირაც და საფეხბურთო ჩემპიონატი განახლდება. გულშემატკივართა ნაწილი იმედით შეჰყურებს მეორე წრეს, ბევრს დიდი ხანია, ხელი ჩაუქნევია და ეროვნული ჩემპიონატისა არა სწამს. ისე, რა უნდა იწამო კაცმა, როცა ბოლო ხუთი წლის მანძილზე ქართულ ფეხბურთში მხოლოდ რეგრესი შეინიშნება. ამის ძირითად მიზეზად უსახსრობას და უქონლობას ასახელებენ.

რაც დრო გადის, მით უფრო ღარიბდებიან ქართული კლუბები. ადრე ქალაქიდან ქალაქში მგზავრობას მაინც ახერხებდნენ, ახლა ესეც სანატრელი გახდომიათ.

ეს ხდება საქართველოში, მეოცე საუკუნის მიწურულს, მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში ფეხბურთი მილიონების შოვნის ერთ-ერთ რეალურ საშუალებად იქცა. სხვები მდიდრდებიან, მხოლოდ ჩვენ დავრჩით უქონელნი, თამაში ადრე ვიცოდით და შეგვეძლო, ახლა აშკარად დაგვავიწყდა და „ფლორაც“, „ზიმბრუც“, არაფერს ვამბობთ „სკონტოზე“, პატარა ბავშვებივით გვაპამპულავებენ.

ადრე სხვები სწავლობდნენ ჩვენგან, ჩვენ კი თავს ვერ ვაკადრებთ სხვისგან ვისწავლოთ. იმიტომ რომ ქართველები ვართ, ქართველმა კი ისედაც ყველაფერი იცის.

ჩვენში საფეხბურთო მეურნეობა მოშლილიაო, ხშირად გაგვიგონია. მოშლილია კი არა, არ არსებობს. კლუბები ხომ დალუპვის პირას არიან, ნაკრები გუნდები კი გასავათებულნი. არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენს გუნდებს ერთი პრინციპული შეხვედრა მაინც მოეგოთ. მხოლოდ ფიასკო და კიდევ ერთხელ ფიასკო.

თუ რაიონის, ანაც ქალაქის ხელმძღვანელობა გვერდში არ დაგვიდგა, ჩვენი საქმეები ცუდად წავაო. ბოლო დროს განსაკუთრებული პოპულარობა შეიძინეს მსგავსმა გამონათქვამებმა. ქართული კლუბების მესვეურებს ბოდიშს კი ვუხდით, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ ისინი ძალად იბრმავებენ თვალებს და ძალადვე ყრუვდებიან.

სახელმწიფომ, თანაც არაერთხელ, ყველას გასაგონად თქვა, მე ჩემი გამჭირვებია, წუწუნს ის გიჯობთ საქმეს სხვაგვარად მიხედოთო. ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაც ისეთივე ფარატინა ფურცელად დარჩება, როგორიც დამუშავების პროცესში იყო.

პროფესიული კლუბებიო, კონტრაქტებიო, პრეზიდენტიო, ფეხბურთელიო... რომელ პროფესიულ კლუბებზეა საუბარი, როცა არც ერთ მათგანს საკუთარ ანგარიშზე თეთრიც არ უჭყავის. ან რომელი კონტრაქტებით მოაქვთ თავი, რომელიც არ არსებობს?! კი, შავით თეთრზე წერია, ხელშეკრულება კლუბსა და ფეხბურთელს შორისო, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავიდან ბოლომდე არც ერთ მხარეს ექნება წაკითხული. აქედან გამომდინარე, ვერავინ გაიგებს, ვინ ნათხოვარია და ვინ ნაჩუქარი.

ამიტომაც არის, ხშირად რომ ქიშპობენ კლუბის მესვეურები და ფეხბურთელები. სააპელაციო კომისიაც ხშირად აღმოჩენილა უხერხულ მდგომარეობაში და რახან საქმის არსი ვერავის გაურკვევია, გამარჯვებულიც ის გამოდის, ვისაც მფარველი მოქიშპეზე გავლენიანი გამოუჩნდება.

ბარემ პრეზიდენტებზეც ვთქვათ. ბევრ მათგანს ეს თანამდებობა სხვათა შორის შეუთავსებია. ორიოდ ლარი თუ გაიმეტა, თორემ მერე გუნდი ისევ რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელთა სარჩენია. ფეხბურთში ფულის დამბანდებელმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ რამდენიმე თვეში კი არა, რამდენიმე წელიწადში თუ ამოიღებს დანახარჯს და თუ თავიანიც არის პრეზიდენტი, მაშინ მოგებაზე იმუშავებს. ისინი კი მუდამ წუწუნებენ, სახელმწიფო არ გვეხმარება და გუნდი გვეშლებაო.

რაც შეგვრჩა ხელთ, ყველა კარგად ვხედავთ. ფეხბურთის დაუძლურების უმთავრესი მიზეზი მაინც ფედერაციის არასწორ მუშაობაში უნდა ვეძიოთ. განა ძველმა ფედერაციამ არ იცოდა, საით მიექანებოდა ჩვენი ჩემპიონატი. როგორ არა, იცოდა, მაგრამ დამნაშავეთა და უსაქმურთა დასჯას ერიდებოდა. პირიქით, იქეთ ეხვეწებოდა, თქვენი ჭირიმე, ოღონდ ითამაშეთ და რაც გინდათ, ის ჰქენითო. ამიტომაც აქცია მათ ზურგი საფეხბურთო საქართველომ თითქმის დაგვიანებული პროტესტით, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

ახალმა ფედერაციამ თუ იცის ბოლომდე, რაც ხდება?! ძალიანაც ცუდი, თუ არ იცის, მაგრამ გვგონია, რომ არავისზე ნაკლებად უწყიან ქართული ფეხბურთის გასაჭირი. ყველაფერი ხომ მათ თვალწინ ხდებოდა. უფრო მეტიც, დღევანდელი ფედერაციის ბევრი ჩინოსანი ხომ თავად მონაწილეობდა იმ დაუმთავრებელ „ფერხულში“. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა თავის დროზე ხმა არავის ამოუღია. ვინც მოითმენს, ის მოიგებსო — იძახდნენ და ითმენდნენ ქართული ფეხბურთის სიკვდილს.

ახლა მაინც ნუ დადუმდებიან. ძალაუფლება ახლა მაინც ხომ ხელთა აქვთ. ისეთ გუნდს რად უნდა ლოლიაობა, რომელსაც მეორე წრის განახლებამდე კვირით ადრე ვარჯიშიც არ დაუწყია, თერთმეტი ფეხბურთელიც ვერ შეუკრებია და არავის იმ რაიონში მდგომარეობის გამოსწორების სურვილიც არ გააჩნია. უიმედო აუტსაიდერს გულშემატკივარი შემოძარცვია და საშინაო მატჩებს ცარიელი ტრიბუნების თანხლებით ატარებს.

ბოლო სამი ჩემპიონატის მანძილზე ფედერაციის სათრევი გამხდარა ის გუნდი. რა ხანია, ჩაძირვის პირას მდგომს და ბაგირჩაბმულს მიათრევენ და ვერ შეძლეს მისი გაცოცხლება. მესამე სეზონია, მის ბედნიერებას ვიღაც ეწირება და ნეტავ, როდემდე გაგრძელდება ასე?

მკითხველი ადვილად მიგვიხვდება, საით ვუმიზნებთ. ცუდადაა „გურია“. ისე ცუდად, რომ „მკურნალობაც“ ვერ უშველის. ჩვენი უბედურება „გურიას“ ავად ყოფნა კი არ არის, არამედ ის, რომ პირველ ჯგუფში კიდევ რამდენიმე „გურია“ მოგვეძევება.

არ უნდა ლანჩხუთში ფეხბურთი არავის და ძალაა, ამბობენ „გურიას“ გულშემატკივრები. „გურია“ მუდამ მიწვეული ფეხბურთელების იმედზე იყო, ბუნებრივია, ადგილობრივები ჩრდილში ექცეოდნენ და იკარგებოდნენ. ახლა კი უფულო ლანჩხუთში რომელი ჭკუათმყოფელი წავა სათამაშოდ. სწორედ ამიტომაა „გურიას“ საქმე წასული. თუმცა, არ იქნება გასაკვირი, ლანჩხუთელთა გუნდი მომავალ ჩემპიონატშიც პირველ ჯგუფში ვიხილოთ. ყველამ იცის, „გურია“ ვის სახელთანაც ასოცირდება და მის გამეტებას ვერავინ გაბედავს. ისე, გაუგებარია, რა კავშირშია ერთმანეთთან...

ერთს არ დასჯი, ხელს დააფარებ, ბუნებრივია, მეორეს უპატრონოდ ხმას ვერ გასცემ. ჰოდა, ირღვევა კანონი, მთავარი სამოქმედო პროგრამა, მერე გვიკვირს, რად დაგვავიწყდა თამაშიო.

ერთიცაა, განა სავალდებულოა, ყველამ პირველ ჯგუფში იყურყუტოს და ყველას ტვირთად დააწვეს. ნურც თორმეტ ანაც ათგუნდა ჩემპიონატს დავიჟინებთ. რვა იყოს და ნაღდი. ფეხბურთის სიკეთისთვის ნურავის მოვერიდებით. არც კალენდრის არევის შეგვეშინდეს. მოსაკვეთი მოვკვეთოთ და გზა ქართულ ფეხბურთს. დავუთმოთ, 21-ე საუკუნის ქართულ ფეხბურთს.

**მამუკა კვანტალიანი**

# ვაი მზეს ვეღარ დაინახავს

## მორიგი სკანდალი, ისევ ინგლისში

ჩი კიუ ონგი. 49 წლის. პროფესიით მენეჯერი, მუშაობს ლონდონის დასავლეთ ნაწილში.

ვაი იუნ ლიუ. 37 წლის. მანქანებით მოვაჭრე.

ენგ ჰვა ლიმი. 35 წლის. ელექტრიკოსი.

არა გვგონია, ამ სახელებმა ვინმეს რაიმე უთხრას. თუმცა ჯერჯერობით, რადგან ეს სამი აზიელი მამაკაცი დღესდღეობით სკოტლანდ იარდში იმყოფება და მალე შეიძლება წლის ყველაზე დიდი სკანდალის შუაგულში მოექცეს.

ამბავი დაახლოებით ასე იყო. ცოტა შორიდან დავიწყოთ და ვთქვათ, რომ ინგლისში (და არა მარტო იქ) ბევრი ერთობა „მაზიანებით“. ზოგისთვის ეს გართობაც აღარ არის — ამ საქმიანობით თავს ირჩენს და ოჯახს აპურებს. ზოგი ტოტალიზატორის დახმარებით დიდ ბიზნესსაც ატრიალებს. იმდენად დიდს, რომ ამას 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აშშ-ს ნაკრებთან საკუთარ კარში გოლის გამტანი კოლუმბიელი მცველი ანდრეს ესკობარიც კი შეეწირა. ერთ-ერთი ვერსიით, შავბნელ კოლუმბიელთა ნაწილს იმ შედეგმა (ამერიკელებმა 2:1 მოიგეს) ნერვები მოუშალა, ვინაიდან ტოტალიზატორში მილიონობით დოლარი ჰქონდათ დადებული და სამშობლოში დაბრუნებული ესკობართა გვარის შემარცხვენელიც უმოწყალოდ გამოასალმეს სიცოცხლეს.

თუმცა სჯობს, დღევანდელობას დავუბრუნდეთ და ინგლისში გადავინაცვლოთ. პრემიერლიგის მორიგ ტურში ლონდონური „ჩარლტონ ატლეტიკი“ „ველი გრაუნდზე“ „ლივერპულს“ უმასპინძლებს. ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, სტუმარი გუნდია და შესაბამისად, ტოტალიზატორებში უსუსურ „ჩარლტონს“ „მსუყე“ ფსონი უწერია. ზემოხსენებული სამი მამაკაცი, აწ უკვე პატიმრები, თურმე სწორედ ამ მატჩის მეშვეობით აპირებდა ჯიბის გასქელებას, მხოლოდ ისინი ბედს აღარ მიენდნენ...



REUTERS ლონდონიდან

გამორთვისთვის გამზადებული „ველი გრაუნდის“ პროჟექტორები

როგორც უკვე ვთქვით, ჩი და ვაი ბიზნესმენები არიან და იოლად გამდიდრების იდეაც, ალბათ, მათ დაებადათ. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ჩვენში ყველაზე პოპულარული და სარფიანი პროფესიის კაცს, ელექტრიკოს ენგს დაუკავშირდნენ, ოთხშაბათ საღამოს „ველი გრაუნდის“ სახურავზეც აღმოჩნდნენ და ენგის მეცადინეობით გასანათებელი საშუალებების მეთოდურად დაზიანება დაიწყეს. ჯერჯერობით არსებული ცნობების თანახმად, მათ მეოთხე პიროვნებაც ახლდათ, რომლის ვინაობაც უცნობია და თავდებითაა გათავისუფლებული.

შედეგად, როგორც კი ისინი მიხვდებოდნენ, რომ მატჩი არასასურველი შედეგით მთავრდება, სტადიონზე შუქი ჩაქრებოდა, თანაც ისე, რომ მის აღდგენას დიდი დრო დასჭირდებოდა და შეხვედრაც გადაიდებოდა. მართლაც მშვენიერი გეგმაა, მაგრამ...

მაგრამ არ სძინავს ინგლისურ პოლიციას.

— ამ პირთა დაკავება სტადიონზე მდებარე პროჟექტორების დაზიანებას მოჰყვა. სრულიად შესაძლებელია, მათ „ჩარლტონის“ ფეხბურთელთა ან ხელმძღვანელთა გარკვეულ წრესთან კავშირი ჰქონდეთ. პრემიერლიგა და საფეხბურთო ლიგა უახლოეს 24 საათში ინგლისის ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდს დაუკავშირდება, ამავდროულად, ჩვენ სკოტლანდ იარდს გადავცემთ წინა ანალოგიური შემთხვევების სიას და თარიღებს — თქვა ოფიციალურ გამოსვლაში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე დევიდ დეივისმა.

ასეთივე შემთხვევები ადრე მართლაც მომხდარა და ბოლო ხანს ძალიან გახშირდა.

პირველი მატჩი, რომელიც უშუქობის გამო გადაიდო, 1997 წლის 13 აგვისტოს გაიმართა. „დერბი ქაუნთი“ თავის ახალ სარბიელ „პრაიდ პარკზე“ ლონდონურ „უიმბლდონს“ მასპინძლობდა, 2:1-საც უგებდა, მაგრამ 56-ე წუთზე სტადიონზე ჩამობნელდა და შეხვედრაც შეწყდა.

ეს იმავე წლის ნოემბერშიც მოხდა „ეპტონ პარკზე“, „ვესტ ჰემის“ და „კრისტალ პალასის“ ორთაბრძოლისას.

შემდეგ, დეკემბერში, ენერგოკრიზისმა „სელჰარსტ პარკზეც“ იფეთქა „უიმბლდონ“ — „არსენალის“ მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში. შეხვედრა მაშინაც გადაიდო.

სასკანდალოდ გამზადებულ ამბავს ცნობილი ინგლისელი ბუქმეიქერის უილიამ ჰილის პრესმდივანი გრემ შარპიც გამოეხმაურა, ტოტალიზატორებზე ჩირქის ცხებას თავი გაანებეთო.

— ამ ქვეყანაში (საუბარია ინგლისზე) თუ მატჩი გარკვეული მიზეზების გამო დროზე ადრე დასრულდება, პიროვნებას, ვისაც ამ კონკრეტულ შეხვედრაზე ფული აქვს დადებული, შეუძლია თანხა უკან გაიტანოს. ამით იგი ფულს ვერ მოიგებს, მაგრამ წაგებულიც არ დარჩება. ბოლო დროს ხშირად საუბრობენ ჩვენსა და დამნაშავეობრივ სინდიკატებს შორის არსებულ კავშირზე. ეს სრული აბსურდია და ამის გადამოწმება და დაწვრილებით გამოკვლევა ძალიან იოლია. ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ შესაბამის სამსახურებთან. ისე კი მინდა, ყველამ იცოდეს — ყველაზე მეტი კლიენტი საზღვარგარეთ გვყავს. არა აქვს მნიშვნელობა, სად იმყოფება იგი — ტიმბუქტუში თუ ნიუ იორკში, ინტერნეტის მეშვეობით ყველას შეუძლია ჩვენს ტოტალიზატორში ფსონის დადება — შარპმა თავიც დაიცვა და არც რეკლამის გაკეთება დავიწყებია.

სკოტლანდ იარდიდან გამოსული ცნობებით კი ჩის, ენგის და ვაის დაკითხვა გრძელდება და გამოძიებაც წინ მიიწევს.

დავით ძოწენიძე





REUTERS ლონდონიდან

„ჩარლტონ ატლეტიკის“ ემბლემაზე გამოსახული ხმალი შეიძლება დამოკლეს მახვილად იქცეს

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთში** მადრიდის „რეალი“ „ტენერიფეს“ უჩივის და კომპეტენტურად 750 მილიონ პესეტას ანუ 5,14 მილიონ დოლარს ითხოვს. მადრიდელები ამტკიცებენ, რომ კანარის კუნძულელებმა მათი სარეზერვო გუნდის ფეხბურთელი, ანხელ ფერო დაუკითხავად მიითვისეს. 20 წლის ფერომ, რომელსაც ესპანეთში მისტას სახელით იცნობენ, მესამე დივიზიონში მოთამაშე სარეზერვო „რეალთან“, სადაც წლიურ გასამრჯელოდ 27400 დოლარს იღებდა, 10 დეკემბერს თვითნებურად დაარღვია კონტრაქტი. როგორც გაირკვა, მისტასა და „რეალის“ ხელშეკრულებაში იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც ის, ვინც მის ყიდვას დააპირებდა, 5,14 მილიონი დოლარის გადამხდელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თავად მოთამაშე ამტკიცებს, რომ ეს უკანონობაა. ასეთი არეულობის შემყურე ქვეყნის პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგამ 22 დეკემბერს დაადგინა, სანამ კონფლიქტი არ მოგვარდება, ფეროს ანუ მისტას ლიცენზიას არ მისცემს. ესპანეთში ამ ისტორიამ დიდი არეულობა გამოიწვია. მისტას ახალი ბოსმანიც კი შეარქვეს. კლუბების პრეზიდენტები ერთობ გაფაციცებულნი ადევნებენ მოვლენათა მსვლელობას თვალს და დღენიადაგ ამოწმებენ, რამდენად გამართული კონტრაქტები აქვთ თავიანთ ფეხბურთელებთან გაფორმებული.

**რუმინეთის სამხედრო სასამართლომ ბუქარესტის „დინამოს“ ყოფილ პრეზიდენტს, პეტრე ბუდურუს, თავდებით განთავისუფლებაზე უარი განუცხადა. „სასამართლომ ჩემს კლიენტს თხოვნაზე უარი უთხრა და დაადასტურა, რომ პროცესის განმავლობაში იგი საკანში უნდა იჯდეს“ — მოუთხრო ჟურნალისტებს ვექილმა დრაგოს უიენიუსმა. ბუდურუ, პოლიციის პოლკოვნიკი, იანვარში 30 დღით იმიტომ დააპატიმრეს, რომ 14 ადამიანისთვის დინამოელის ყალბი მოწმობა ჰქონდა გაცემული და მათი საშუალებით რაღაც მაქინაციებს ატარებდა. შეგახსენებთ, რომ იმავე კლუბის წინა პრეზიდენტს, ვასილე იანულს, 2 მილიონი დოლარის გაფლანგვისთვის კარგა ხანია ასამართლებენ.**

**შვედეთის** ნაკრების ამხანაგურმა შეხვედრამ ტუნისის წინააღმდეგ ადგილობრივი პრესის უკმაყოფილება გამოიწვია. მიუხედავად გამარჯვებისა 1:0, ტაბლოიდმა „აფტონბლადეტმა“ გუნდის თამაშს მოსაწყენი და იდეებს მოკლებული უწოდა. ერთ-ერთი გოლი ინგლისური „შეფილდ უენსდეის“ ნახევარმცველმა ნიკლას ალექსანდერსონმა გაიტანა. „სელტიკის“ თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი, რომელმაც წინა შაბათს გლაზგოელთა შემადგენლობაში სამი გოლი გაიტანა, იმდენად უსახური იყო, რომ პირველი ტაიმის მერე, შესვენებაზე შეცვალეს.

**ბერძენმა მცველმა ვასილიოს ბორბოკისმა, რომელიც ინგლისურ „შეფილდ იუნაიტედში“ თამაშობს, კლუბის დაუკითხავად მიაშურა სამშობლოს. მიზეზად 30 წლის მოთამაშემ ტრავმა დაასახელა. ეს ამბავი ერთი კვირის წინ მოხდა, ინგლისში დაბრუნებულ ბერძენს კი ჯარიმა და საკუთარი გვარი სატრანსფერო სიაში დახვდა. ბორბოკისმა თავი დამნაშავედ სცნო და „იუნაიტედის“ მწვრთნელს, სტივ ბრიუსს ბოდიში მოუხადა, თანაც დააყოლა, გუნდში დარჩენა მსურსო, მაგრამ ცივი უარი მიიღო. ინგლისურმა კლუბმა ბორბოკისი, სეზონის წინ, ათენის აეკ-ისგან იყიდა და უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელმა ერთობ გამოიჩინა თავი: განაპირა მცველადაც ივარგა და ლამაზი და ზუსტი საჯარიმო დარტყმებითაც დაიგდო სახელი.**

**მაროკოს** ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ მზადაა 2000 წელს ზიმბაბვეს ნაცვლად უმასპინძლოს აფრიკის თასს. მისმა ვიცე-პრეზიდენტმა ჰამიდ ლაჰფაბიმ ბრძანა: „ჩვენმა ფედერაციამ ორგანიზატორებს თავი შესთავაზა. ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა გვაქვს“. ასე რომ, რამდენიმე თვეში მზად ვიქნებით დიდი ტურნირის სამასპინძლოდ“. მაროკოელთა ინიციატივა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის ორშაბათის გადაწყვეტილებამ გამოიწვია. ორშაბათს კონფედერაციამ ზიმბაბვეს ჩამოართვა შეჯიბრების მასპინძლობის უფლება, რადგან ამ ქვეყანას მომზადების თვალსაზრისით, იოტისოდენა პროგრესიც არ ეტყობოდა. კონფედერაციამ განაცხადთა შეტანის ბოლო ვადა 10 მარტს დათქვა, თავად კონტინენტის პირველობა კი მომავალი წლის იანვარშია დაგეგმილი. მაროკომ აფრიკის თასს 1988 წელს უმასპინძლა. მაშინ შეჯიბრებაში 8 გუნდი მონაწილეობდა, ახლა კი მონაწილეთა რაოდენობა გაორმაგებულია. არაა გამორიცხული, რომ ზიმბაბვეს შეცვლა სამხრეთმა აფრიკამაც ისურვოს. ეს ქვეყანა 1996 წელს მასპინძლობდა ჩემპიონატს. მოსალოდნელია, რომ განაცხადებს ეგვიპტე და ნიგერიაც შეიტანენ.

**იამაიკამ კოსტარიკასთან ჩაატარა ამხანაგური შეხვედრა, რომელიც 1:1 დასრულდა. ანგარიში კოსტა რიკელმა ხერალდ დრუმონდმა 35-ე წუთზე გახსნა, იამაიკელმა დიონ ბარტონმა კი თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე გაათანაბრა. შეხვედრას, რომელიც კინგსტონში გაიმართა, 16 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.**

**პარაგვაელი** სელსო აიალა, რომელიც ესპანურ „რეალ ბეტისში“ თამაშობს, შესაძლოა ბრაზილიურ „სან პაულუში“ გადავიდეს. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდა, აიალა კვლავ პაულუ სეზარ კარპეჯანის შეგირდი გახდება. შეგახსენებთ, რომ კარპეჯანი მსოფლიოს გასულ ჩემპიონატზე პარაგვაელთა ეროვნული გუნდის მწვრთნელი გახლდათ. „სან პაულოელთაგან თავად მე არავისთან მისაუბრია, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ კარპეჯანიმ გამიხსენა და წინადადებაც მისგან მოდის“ — განაცხადა აიალამ და დასძინა — „მე და მას ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა, ამიტომაც სიამოვნებით შევუერთდებოდი მის გუნდს“. თავის მხრივ, „რეალ ბეტისმა“ დაადასტურა, რომ „სან პაულუმ“ პარაგვაელი ფეხბურთელის ყიდვის სურვილი გამოთქვა. 28 წლის აიალა საგანგებოდ პოპულარული საფრანგეთი 98-ის დღეებში გახდა. ესპანეთში გადასვლამდე იგი არგენტინულ „რივერ პლეიტში“ თამაშობდა. „რეალ ბეტისში“ მის კაირერას კი სერიოზული პრობლემა ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ხავიერ კლემენტეს მისვლამ შეუქმნა. „აღარ მინდა აქ დარჩენა, ვერც გამიგია, ვუნდივარ თუ არა კლემენტეს“ — დაიჩივლა აიალამ, რომელმაც სამშობაო არდადეგებიდან ესპანეთში დაბრუნება ისე დაიგვიანა, რომ „ბეტისმა“ კერძო დეტექტივიც კი დაიქირავა მისი ადგილსამყოფელის მისაკვლევად. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, აიალა დაბრუნდა, კლემენტემ რამდენიმე კვირის განმავლობაში ავარჯიშა, თამაშით კი არ უთამაშებია.

**ინგლისური „მიდლსბროს“ დანიელმა თავდასხმელმა მიკელ ბეკმა განაცხადა, რომ იგი აფერისტი არ არის და გასულ შაბათს, „ლივერპულთან“ თამაშის დროს, დომინიკ მატეოს მოედნიდან გასაძევებლად, ძალად არ წაქცეულა. შეგახსენებთ, 64-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მატეო ბეკის წაქცევისთვის გააგდეს. შეხვედრას, რომელიც ლივერპულის „ენფილდ როუდზე“ მიმდინარეობდა, ტელევიზიით შოტლანდიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ენდი გრეი უკეთებდა კომენტარს. სწორედ გრეიმ დააბრალა ბეკს აფერისტობა.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20



ბარსელონელი რივალდო რეალელი იეროს წინააღმდეგ. მათ სანახავად ხალხი დიდ ფულს იხდის

# გუშინ, ხვალ და კამპ ნოუზე

ერთხელ „ბარსელონას" ინგლისელმა მწვრთნელმა, ბობი რობსონმა განაცხადა: „ამქვეყნად უამრავი ორთაბრძოლისთვის მიცქერია, მაგრამ გრძნობა, რომელიც „ბარსელონა" — „რეალის" ჭიდილისას დამეუფლა, სხვა დროს არასდროს განმიცდია. ამ ორი კლუბის შეხვედრა ფეხბურთის ზეიმია. „ბარსელონა" და „რეალი" არიან გუნდები, რომელთა მატჩებზეც, რა დროსაც უნდა იყოს ისინი, სტადიონი მუდამ პირთამდე სავსეა".

„კამპ ნოუ" — ფეხბურთის სადიდებლად აგებული ტაძარი ხვალ, კვირა საღამოს, უეჭველია, კიდევ ერთხელ გაივსება და თავის ხანგრძლივ და ტრიუმფალურ ისტორიას კიდევ უფრო გაამდიდრებს. „ბარსელონა", ჩემპიონატის ლიდერი, „რეალს", ყველაზე უფრო დიდ მოქიშპეს მასპინძლობს. კატალონიელებს კიდევ ერთხელ ეძლევათ შანსი, უპირატესობა დაუმტკიცონ მადრიდელებს. მათ, ვის გამოც 50-იან წლებში იჩაგრებოდნენ.

ეროვნულობის გრნობა — აი, ის, რაც „ბარსელონას" ქომაგობაში გამოსჭვივის. როცა თამაშობს „ბარსა", მის უკან უბრალოდ გულშემატკივრები არ არიან. მის უკან მთელი კატალონიაა. „ბარსელონას" უკან დგას ხალხი, რომლებსაც გუნდის სიყვარული წინაპართაგან გადაეცემოდათ, ისევე, როგორც „რეალის" სიძულვილი. „ბარსელონა" — „რეალის" შეხვედრა ჩემპიონატი მორიგი მატჩი არაა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე გვგონია.

...როცა საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, ქართველს ეროვნული სულისკვეთების გამოხატვა „დინამოს" სარბიელზე შეეძლო. აქ ქართველი ქართველობდა და საბჭოელ „თანამოძმეთაგან" ამით მუდამ გამოირჩეოდა.

ძნელია, ქართველთა მაშინდელი მდგომარეობა და კატალონიელთა ყოფა შეადარო. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით, კატალონიელები კი — ესპანეთში, მაგრამ რაღაც მსგავსება „დინამოს" ქომაგთა უფროს თაობასა და კატალონიელებს შორის მაინც არის.

ფრანკო — მეოცე საუკუნის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე პირსისხლიანი დიქტატორი. ესპანეთში მისი მმართველობის პერიოდში კატალონიელი ხალხი დაახლოებით ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორშიც საქართველო იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს. ფრანკომ ყველაფერი ცენტრს დაუქვემდებარა. კატალონიელები მშობლიურ ენაზე იმხანად ქუჩაშიც კი ვერ საუბრობდნენ და ერთადერთი ადგილი, სადაც თავისუფლად გრძნობდნენ თავს, „კამპ ნოუ" იყო.

გრძნობა, რომელსაც ისინი საფეხბურთო მატჩებისას განიცდიდნენ, იყო, ალბათ, ის, რაც ბობი რობსონმა განიცადა კატალონიაში მოღვაწეობისას.

მართალია, 1975 წელს, ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, კატალონიამ და სხვა რეგიონებმა ამოისუნთქეს, მაგრამ ხალხმა განვლილი წლები ვერ დაივიწყა, ვერც „რეალზე" მოულბათ გული და მადრიდული სამეფო კლუბი დაუძინებელ მტრად აღიქვეს. ასე იყო 20 წლის წინათ. ასეა ახლაც. თაობები იცვლება, „ბარსელონას" გულშემატკივართა დამოკიდებულება „რეალის" მიმართ კი იგივე დარჩა.

„ბარსელონას" ისტორიაში საუკეთესო ლეგიონერად აღიარებულმა დანიელმა გამთამაშებელმა, მიქაელ ლაუდრუპმა ჯერ კიდევ კლუბში თამაშისას განაცხადა, ბედნიერია ის ფეხბურთელი, ვინც „ბარსა" — „რეალის" დაპირისპირებაში მონაწილეობსო.

მართლაც ასეა. ამ გუნდების მოთამაშენი ისტორიის განუყოფელი ნაწილი ხდებიან. თუ ფეხბურთელი პირველობაზე აცხადებს პრეტენზიას, თუ იგი მოწადინებულია, სახელი დაიგდოს საფეხბურთო სამყაროში, თუ მას სურს, გახდეს ცნობილი, ამ შეხვედრაში აუცილებლად უნდა გამოიჩინოს თავი.

იშვიათად, ძალიან იშვიათად მომხდარა, რომ ერთ ფეხბურთელს ორივე კლუბში ეთამაშოს. ასეთები ესპანეთის ჩემპიონატის ისტორიის მანძილზე თითზე დასათვლელნი არიან. ახლო წარსულში მათ რიგს ზემოხსენებული მიქაელ ლაუდრუპი მიეკუთვნებოდა — 1994 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც მანამდე „კამპ ნოუზე" ოთხჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, კატალონიური კლუბის ლურჯ-წითელი მაისური „რეალის" თეთრ ფორმაზე გაცვალა და იქაც ჩემპიონი გახდა. უფრო ადრე ორივე კლუბის შემადგენლობაში უნიჭიერეს გერმანელ ბერნდ შუსტერს უთამაშია, თუმცა რაღა ისტორიაში ვიქექებით? „ბარსელონას" უნივერსალი, ლუის ენრიკე მარტინეს გარსია განა რამდენიმე წლის წინ „რეალისთვის" არ ირჯებოდა?

ასეთ ფეხბურთელებს უდიდესი ფსიქოლოგიური ტვირთი აწევთ. ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა გულშემატკივართათვის ღალატის ტოლფასია, თუმცა ეს ქომაგებს მიაჩნიათ ასე, მოთამაშენი კი...

„ისტორიას გაფრთხილება უნდა. როდესაც ასეთი გუნდების მატჩი უნდა განსაჯო, ხვდები, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა გაკისრია. ძალიან მიხარია, რომ ესოდენ მნიშვნელოვან ორთაბრძოლაში მსაჯობა მომანდეს. მერწმუნეთ, ჩვენთვის ესპანელი არბიტრებისთვის, არაფერია ამაზე უფრო სახელოვანი" — ედუარდო იტურალდე გონსალესი „ბარსელონა" — „რეალის" ხვალინდელი შეხვედრის მსაჯია. სხვათა შორის, მისი ბაბუა, კარლოს ანდრეო იტურალდო გონსალესი, 30-40-იან წლებში ესპანეთში ერთ-ერთი სახელგანთქმული არბიტრი გახლდათ. „ბარსელონას" და „რეალის" თამაშების მსაჯობის პატივი კი ედუარდოს ბაბუას სამჯერ რგებია.

ზემოთ ვთქვით, კატალონიელი ფანები სხვა კლუბების ქომაგებისგან ძალიან განსხვავდებიანო. მათთვის საყვარელი კლუბის გულშემატკივრობა მთელი მეცნიერება, რომლის შესწავლაც ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება აქვთ თავიანთი საქმისადმი მადრიდის „რეალის" ქომაგებს. რაღა ბევრი ვილაპარაკოთ, „ბარსელონას" და „რეალის" მხარდამჭერთ უბრალო გულშემატკივრები არ ჰქვიათ. ისინი ფანატები არიან. სხვათა შორის, მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი ლორენსო სანსი მისი და კატალონიური კლუბის „კამპ ნოუზე" ბოლო ორ შეხვედრას არ დასწრებია. საქმე ისაა, რომ 1996 წელს, როცა მადრიდელთა პრეზიდენტი „ბარსელონას" პრეზიდენტ ხოსე ლუის ნუნიესთან და ვიცე-პრეზიდენტ ხუან გასპართან ერთად უცქერდა მატჩს, ერთ-ერთი მორიგი რეპლიკის გამო იგი გასპარმა გვარიანად გამოლანძღა. თავის მხრივ, არც სანსმა დააკლო რამე. საქმე ეგებ ხელჩართულ ბრძოლამდეც მისულიყო, მაგრამ მცველებმა ანერვიულებულ სანსს და გასპარს ჩხუბი არ დაანებეს. მას შემდეგ სანსი ბარსელონაში „რეალის" თამაშზე აღარ ჩასულა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ „ბარსელონას" გულშემატკივრები საზოგადოების ყველა ფენაში არიან და ისინი გუნდზე ფანატიკურად არიან შეყვარებული.

„ბარსელონა" — „რეალის" თამაშის ცქერა დღეიდან ხალხს გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ შეეძლება, რაც თავისთავად უპრეცედენტო შემთხვევაა. ფულის საფასურად სასურველი მატჩის ხილვის სისტემა, ანუ ფეი-ფერ-ვიუ, ბრიტანეთში კარგა ხანია, დანერგილია, ესპანეთში კი ახლა იკიდებს ფეხს. CANAL+-ს, სანამ ამ უფლებას მოიპოვებდა, ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. წარმოგიდგენიათ? „ბარსელონა" — „რეალის" მომავალ დაპირისპირებას ხელისუფალნიც გამოეხმაურნენ. პრემიერ-მინისტრმა ხოსე მარია ესნარმა განაცხადა, დაე, ამ პაექრობას ხალხმა ცენტრალური ტელევიზიით უყუროსო. მაგრამ ამას არ დაეთანხმა CANAL+, რომელსაც მატჩის ტრანსლირების ექსკლუზიური უფლება ჰქონდა. საბოლოოდ საქმე CANAL+-ის სასარგებლოდ დასრულდა.

ხვალ, გარდა იმისა, რომ „ბარსელონა" „რეალს" ხვდება, ორი ჰოლანდიელი მწვრთნელიც შეეჭიდება ერთმანეთს — ლუის ვან გაალი და გუს ჰიდინკი. უდავოდ საინტერესო ორთაბრძოლაა. აქამდე ჰოანდიელი თავკაცები ერთადერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. უდიდესი შერკინების პირველი ნაწილი, მადრიდში შემოდგომაზე რომ გაიმართა, 2:2 დასრულდა. ცნობისთვის, ლუის ვან გაალი სამწვრთნელო მოღვაწეობისას „რეალს" შვიდჯერ დაპირისპირებია, მეტოქე ხუთჯერ დაუმარცხებია, თითოჯერ კი ფრედ უთამაშია და დამარცხებულა. გუს ჰიდინკის შედეგი კი უფრო მოკრძალებულია.

— კარიერის მანძილზე რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩამიტარებია, მაგრამ როცა „რეალის" წინააღმდეგ თამაშობ, ეს სულ სხვა რამაა. იმედია, კვირას კვლავ მექნება შანსი, მადრიდელებს შევუტიო. მე ეს ძალიან მინდა! — პატრიკ კლუივერტი, ლუის ვან გაალის ერთ-ერთი თანამემამულე, „რეალის" წინაალმდეგ გამორჩეულად შედეგიანად თამაშობს. „აიაქსის" და „ბარსელონას" შემადგენლობაში იგი სამჯერ წარდგა სამეფო კლუბის წინაშე და სამჯერვე გოლი გაუტანა „რეალს".

— მშვენივრად ვიცი, რას ნიშნავს „კამპ ნოუზე" „ბარსელონას" წინააღმდეგ თამაში. ოცამდე ასეთ შეხვედრაში ვმონაწილეობდი და ყველა გუშინდელივით მახსოვს. იყო სიხარულიც, იმედგაცრუებაც, მაგრამ არ ყოფილა გამარჯვება. კვირას „რეალი" გამარჯვებისთვის იბრძოლებს — ფერნანდო იერო, მანუელ სანჩისთან ერთად, დღევანდელი „რეალის" შემადგენლობაში ის ფეხბურთელია, „კამპ ნოუზე" „ბარსელონასთვის" ჩემპიონატში თამაშისას გოლი რომ გაუტანია. სხვათა შორის, 1992-93 წლების სეზონის მერე „რეალმა" ბარსელონაში მასპინძელს გოლი ვერა და ვერ გაუტანა. რაც შეეხება იმას, თუ როდის მოიგო „რეალმა" გასვლითი მატჩი „ბარსელონასთან", ეს 1983-84 წლების პირველობაზე მოხდა.

...კვირას „კამპ ნოუ" გადაიჭედება. კიდევ ერთხელ შეივსება ბრწყინვალე სტადიონი — „ბარსელონა" „რეალს" მასპინძლობს.

სასწორზე სამ ქულაზე მეტია.

**ლაშა გოდუაძე**

## BARCELONA vs REAL

### ბარსელონა

დაარსდა 1899 წლის 29 ნოემბერს

ესპანეთის ჩემპიონი: 1929, 1945, 1948, 1949, 1952, 1953, 1959, 1960, 1974, 1985, 1991, 1992, 1993, 1994, 1998

ესპანეთის თასი: 1910, 1912, 1913, 1920, 1922, 1925, 1926, 1928, 1942, 1951, 1952, 1953, 1957, 1959, 1963, 1968, 1971, 1978, 1981, 1983, 1988, 1990, 1997, 1998

ესპანეთის სუპერთასი: 1984, 1992, 1993, 1995, 1997

ჩემპიონთა თასი: 1992

თასების თასი: 1979, 1982, 1989, 1997

უეფას თასი: 1958, 1960, 1966

ევროპის სუპერთასი: 1993

სტადიონი: „კამპ ნოუ" (112.000)

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი (ჰოლანდია)

ყველაზე მეტი მატჩი: მიგელი 391

ყველაზე მეტი გოლი: სეზარი 194

უდიდესი მოგება შინ: 10:1 „ტარაგონასთან" (1949-50)

უდიდესი წაგება შინ: 0:6 „ბილბაოსთან" (1945-46)

უდიდესი მოგება სტუმრად: 8:0 „ლას პალმასთან" (1959-60)

უდიდესი წაგება სტუმრად: 1:12 „ბილბაოსთან" (1930-31)

მეტი გატანილი გოლი სეზონში: 102 (1996-97)

მეტი გაშვებული გოლი სეზონში: 50 (1942-43)

ნაკლები გატანილი გოლი სეზონში: 32 (1939-40)

ნაკლები გაშვებული გოლი სეზონში: 21 (1972-73)

ყველაზე დაბალი ადგილი ჩემპიონატში: 12 (1941-42)

მთლიანად ჩემპიონატში: 2061 +1126 =423 -512 4245-2460

### რეალი

დაარსდა 1902 წლის 18 მარტს

ესპანეთის ჩემპიონი: 1932, 1933, 1954, 1955, 1957, 1958, 1961, 1962, 1963, 1964, 1965, 1967, 1968, 1969, 1972, 1975, 1976, 1978, 1979, 1980, 1986, 1987, 1988, 1989, 1990, 1995, 1997

ესპანეთის თასი: 1905, 1906, 1907, 1908, 1917, 1934, 1936, 1946, 1947, 1962, 1970, 1974, 1975, 1980, 1982, 1989, 1993

ესპანეთის სუპერთასი: 1987, 1989, 1992, 1998

ჩემპიონთა თასი: 1956, 1957, 1958, 1959, 1960, 1966, 1998

უეფას თასი: 1985, 1986

საკონტინენტაშორისო თასი: 1960, 1998

სტადიონი: „სანტიაგო ბერნაბეუ" (87.000)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი (ჰოლანდია)

ყველაზე მეტი მატჩი: სანჩისი 471

ყველაზე მეტი გოლი: დი სტეფანო 216

უდიდესი მოგება შინ: 11:2 „ელჩესთან" (1959-60)

უდიდესი წაგება შინ: 0:6 „ბილბაოსთან" (1930-31)

უდიდესი მოგება სტუმრად: 7:1 „სარაგოსასთან" (1987-88)

უდიდესი წაგება სტუმრად: 1:8 „ესპანიოლთან" (1929-90)

მეტი გატანილი გოლი სეზონში: 107 (1989-90)

მეტი გაშვებული გოლი სეზონში: 71 (1950-51)

ნაკლები გატანილი გოლი სეზონში: 24 (1930-31)

ნაკლები გაშვებული გოლი სეზონში: 15 (1931-32)

ყველაზე დაბალი ადგილი ჩემპიონატში: 11 (1947-48)

მთლიანად ჩემპიონატში: 2061 +1183 =433 -445 4308-2389

### ბოლო მატჩი „კამპ ნოუზე"

ბარსელონა 3:0 რეალი

1:0 ანდერსონი 2:0 ფიგუ 3:0 ჯოვანი

| | | ბარსელონა | | რეალი | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონაში | 68 | 41 | 11 | 16 | 138-83 |
| მადრიდში | 69 | 12 | 12 | 45 | 70-146 |
| სულ | 137 | 53 | 23 | 61 | 208-229 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

გიო ახვლედიანის

სვეტი

# KINGKLADZE დაბრუნდება?

დილიდანვე გავრცელდა ჭორი, თუ მართალი ამბავი, გიო ქინქლაძემ „ასტონ ვილასთან" კონტრაქტი გააფორმა და პრემიერლიგას დაუბრუნდაო. თითქოს, რუსულ „ენტევე სპორტს" გამოეცხადებინოს ეს ამბავი გუშინ. იმ დროისთვის, სვეტი რომ მზადდება, ეს ამბავი დადასტურებული არ არის — „როიტერიც" დუმს და ინტერნეტიც. თუ მართალია, ძალიან საინტერესო ამბავი გამოდის.

კომუნისტების ხანაში ესტონელებს ერთი ხუმრობა ჰქონდათ — ნამდვილი ესტონელი კანადაში უნდა ცხოვრობდესო. ამის გათვალისწინებით, ყოველთვის მჯეროდა, რომ თუკი ქართველი ფეხბურთის თამაშს დააპირებს, უეჭველად პრემიერლიგაში უნდა წავიდეს. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ეს ლიგა ყველა სხვას სჯობს, არამედ იმის, რომ იქაური თამაშის წესი და ხასიათი, იქაური განწყობა და აღტაცება ჩვენს ფეხბურთელეზე უაღრესად კეთილად მოქმედებს.

ქართველი კაცი ისეთი ვინმეა, რომ თუ მისით არ აღტაცდი და თუნდაც პატარა გამოსავალი დაუტოვე, თითს თითზე არ დაადებს. ასე ვთქვათ, აფეთქების, თავადაც აღტაცების მოტივი არა აქვს. ჯერჯერობით ასეა და აწი რა იქნება, არ ვიცი.

ქინქი რომ „სიტის" გამოეთხოვა, ერთი ამბავი იყო პრესაში და მოგრძო სვეტიც დავწერე. მაშინ ვერც კი დავუშვებდი, რომ ის ინგლისს მიატოვებდა და იმ სვეტის სულისკვეთებაც ასეთი გამომივიდა, რომ აი, კვლავ აღებს პრემიერლიგის კარსმეთქი.

„აიაქსში" გადავიდა და ამით არაფერი შეცვლილა მის კარიერაში.

როგორც მაშინ, ახლაც ამ აზრზე ვარ, ქართველი ინგლისში უნდა თამაშობდეს.

ახლა, ეს ჭორი დატრიალდა და ჩვენ ხომ ეგეთი განწყობის ხალხი ვართ? რაც კი ყოფილა უსიამო და მოსაწყენი, დაგავიწყდება. დაგავიწყდება და თვლასაც დაიწყებ: წინ დაბლინი ეყოლება, აქეთ ჯოაკიმი, უკან ეჰიოგუ და ა.შ. და ა.შ. მაგრამ ნამდვილი ამბის, თუ ჯერჯერობით ჭორის დასტური არ ჩანს.

ჩანს, თუ არ ჩანს, მაინც ასე მგონია, რომ ქინქლაძის ამოყვინთვის, მისი კვლავ გაბრწყინების საშუალება, სწორედ პრემიერლიგაა.

სირთულეები, რომლებიც შეხვედრია ქინქლაძეს თავის კარიერაში, ჯერჯერობით გრძელდება.

მგონია, რომ „აიაქსი" შეცდა, როცა ის შეიძინა, ახლა კი ცდება, როცა მის გასხვისებას ცდილობს. ამასთან, ახლოა ფინანსური საკითხიც, ანუ ტრანსფერის ფასი.

მორტენ ოლსენი ერთი ჰაიჰარა მწვრთნელი იყო, არც ეს ვოუტერსი ჩანს ელინიო ერერა, მაგრამ აქედან ქინქის რა? მისი თამაში ისე აეწყო, რომ სატრანსფერო ფასი ყოველთვის დიდი ჰქონდა და ამას პრემიერლიგაში დატოვებული კვალი განაპირობებდა. ამიტომ, ყოველთვის აპელირებდნენ პირველი დივიზიონის ვარსკვლავი (რომელიც თან იშვიათად თამაშობს) ამ ფასად დიდ გუნდში ეგრე იოლად ვერ მივაო.

გადავიდა შესუსტებულ დიდ გუნდში და კვლავ პრობლემა.

არა, ქართველი პრემიერლიგაში უნდა თამაშობდეს. ეს ქინქლაძემაც დაამტკიცა თავის დროზე და ახლა თემურ ქეცბაიაც ამტკიცებს. თუნდაც იმიტომ უნდა თამაშობდეს იქ, რომ არც ამსტერდამში, არც მადრიდსა და მილანში არ გამოუშვებენ მაისურს, რომელსაც ზურგზე KINGKLADZE აწერია და რომელიმე იქაური ქომაგიც არ გადაიპარსავს თავს ქეცბას პატივისცემით. სწორედ პრემიერლიგაში ხედავ ყველაზე ცხადად შენს საქმეთა შედეგს და აღტაცება თუ არ აგიბნევს გონებას, ეცდები ისეთი იყო, რომ კვლავ იმღერონ შენს გამო შეთხზული ლექსები.

მოტივი და გამოღვიძება.

ოღონდ, ჯერ მართლა არ ვიცით, რა გამოვა ამ გავრცელებული ამბიდან.

ერთი წლის წინ ის პრემიერლიგის ერთ-ერთი ჩვეულებრივი თავდამსხმელი იყო, თან არც ისე სახელოვანი. პატარა ბიჭი, რომელმაც არაფერი უწყოდა მომავლის შესახებ. გაიზარდა „ლივერპულში", პირველი მატჩიც „ენფილდ როუდზე" ითამაშა, პირველი გოლიც „ლივერპულში" გაიტანა. ერთი სიტყვით, დაბადებიდან ლივერპულელი იყო, ლივერპულელობისთვის გაჩენილი.

მაიკლ ოუენმა ერთ წელიწადში მთელი მსოფლიო აალაპარაკა.

ქვემორე წერილი სწორედ მაიკლ ოუენს ეძღვნება. თავად სტატია, ინგლისურ პრესაში რომ გამქვეყნდა, ოუენის შარშანდელ ამბებზე მოგვითხრობს. დღეს პირველ ნაწილს შემოგთავაზებთ, სადაც გასული წლის პირველ სამ თვეზეა საუბარი. დანარჩენი შემდეგ შაბათს იყოს.



# ბიჭის წელიწადი

## იანვარი

*„ჩვენ არა გვაქვს უფლება, ვთქვათ, რომ მაიკლ ოუენი დიდი პოტენციალის მქონე მოთამაშეა. ის უკვე დიდი ფეხბურთელია".*

**როი ევანსი, „ლივერპულის" ყოფილი მწვრთნელი**

კენი დალგლიში გაოგნებული იყო. მომხდარის არ სჯეროდა. სახეწამოჭარხლულს უნდოდა, რაღაც ეყვირა, მაგრამ ვერ ახერხებდა. დიდი ლივერპულელი გაოცებისგან პირდაღებულ ბავშვს ჰგავდა.

და რა იყო ყოველივე ამის მიზეზი? — გოლი. დიახ, გოლი. სწორედ ის გოლი, რომლითაც დალგლიშის „ნიუკასლ იუნაიტედი" ენფილდელებთან დამარცხდა 0:1.

ის ბურთი მაიკლ ოუენმა შეაგდო. სხარტი, ცრუ მოძრაობა, უძლიერესი დარტყმა და 18 წლის ბიჭმა, მასთან ერთად კი მთელმა „ლივერპულმა", გაიხარა. შაკა ჰისლოპს, წამის წინ მაიკლის მიერ დამწუხრებულ მეკარეს, თავი ჩაეღუნა. ბურთი... ხარიხა... კარის ბადე... ხალხის ყვირილი... ყველაფერმა წამში გაირბინა. დაბოლოს გოლი. „მას არ აქვს უფლება, ასეთი გოლები გაიტანოს" — დაიყვირა დალგლიშმა და წამსვე გაჩუმდა. თითქოს მიხვდა, რომ სისულელე წამოროშა. პრესკონფერენციაზე გაკვირვებას ვერ მალავდა. „კი მაგრამ, ჰისლოპი თითქმის ორი მეტრია, როგორ? რანაირად?

მაიკლს ვკითხე, ის გოლი თუ ახსოვდა. ისე შემომხედა, თავად შემრცხვა. მივხვდი, რომ უაზრო შეკითხვა დავუსვი, თუმცა ეს მე ვიფიქრე, თავად მაიკლმა კი ვინ იცის... „როგორ არა, მახსოვს. ძალიან გამიხარდა" — მითხრა და გამიღიმა. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში პრემიერლიგას დაუბრუნდა ალან შირერი, რომელიც მანამდე რამდენიმე თვე ვერ თამაშობდა.

მაიკლს შირერთან შეხვედრა ახსენდება: „მანამდე კარგად არ ვიცნობდი, უბრალოდ, ერთმანეთს ვესალმებოდით და ეს იყო, მეტი არაფერი. ერთი-ორჯერ სადღაც შევხვედროდით ერთმანეთს. თამაშში რომ ჩაერთო, როგორ ხარ-მეთქი, ვუთხარი. ძალიან გამეხარდა მისი დანახვა". ბიჭი ბრძოლას განაგრძობდა. თამაშობდა თავდაუზოგავად. ეტყობოდა, რომ მას პრემიერლიგა, გუნდი, ფეხბურთი უყვარდა. ისე, განა ახლა არ უყვარს?

მარტო გოლების გატანა კი არა, მას მათი შექმნაც შეუძლია. უბრალოდ, პარტნიორია საჭირო. „ლივერპული" — „ნიუკასლის" შეხვედრის ცქერისას გონებაში შირერ-ოუენის წყვილი წარმოვიდგინე...

— მსურდა თუ არა ნაკრებში შირერთან ერთად თამაში? თავიდან იმასაც ვერ წარმოვიდგენდი, თუ საერთოდ ნაკრებში მიმიწვევდნენ. იმ მატჩის შემდეგ შირერთან თამაში გონებაში წამომიტივტივდა. ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ სეიროზულად არა. მაშინ მეგონა, რომ მე და ალანი თავდასხმაში არასდროს შევწყვილდებოდით. მე მაშინ სხვა ვიყავი, შირერი კი სულ სხვა იყო, ძალიან განსხვავებული.

## თებერვალი

*„ნაკრებში გამოძახების შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. ის ისევ ძველ მაიკლად დარჩა".*

**ტერი ოუენი, მაიკლის მამა**

მაიკლი მამასთან ერთან ხშირად ერთობა გოლფით. თავის დროზე ტერი ოუენმა გაუმხილა შვილს ამ თამაშის საიდუმლოება. ვერ ვიტყვი, გოლფის ძლიერი მოთამაშეა-მეთქი, მაგრამ შეუძლია, ნამდვილად შეუძლია.

ინგლისის ნაკრებში მიწვევა მაიკლმა გოლფის თამაშისას შეიტყო. მამასთან მორიგი დუელი იყო, ცხადია, სანაძლეოზე. „თამაშს ვამთავრებდით, როცა მობილური ტელეფონით შეეხმიანენ. მალე კვლავ შემომიერთდა, მაგრამ დაბნეული ჩანდა. მახსოვს, მიგებდა, მაგრამ წააგო. საერთოდ არ უყვარს წაგება, მაგრამ მაინც უხაროდა. მერე მითხრა, რომ ინგლისის ნაკრებში გამოიძახეს" — მაიკლმა მამას თავდაპირველად არაფერი გაუმხილა.

ოუენს ნაკრებში მიწვევა „ლივერპულის" მწვრთნელის თანაშემწემ დაგ ლაივმორმა შეატყობინა. პატარა ბიჭს ქვეყნის პირველ გუნდში უხმეს. მაიკლს არ სჯეროდა, მაგრამ მიხვდა, რომ ყოველივე ზღაპარი არ იყო.

11 თებერვალს ჩილელების წინააღმდეგ ოუენმა ნაკრებში პირველად ითამაშა. ის გახდა ყველაზე პატარა ფეხბურთელი, რომელსაც კი ოდესმე მოურგია ქვეყნის პირველი გუნდის მაისური. ინგლისმა წააგო, მაგრამ მიუხედავად მარცხისა, მაიკლი საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. „ძალიან ვნერვიულობდი, მერე დავწყნარდი. უცნაური გრძნობა დამეუფლა. ის შეხვედრა არასდროს დამავიწყდება".

შინ რომ დაბრუნდა, მაისური თავის ოთახში, საწოლის თავთან დაჰკიდა.

ნაკრებში დებიუტს პრემიერლიგაში პირველი ჰეთ თრიქი მოჰყვა. „ლივერპული" „შეფილდ უენსდეისთან" 3:3 დაზავდა. „გოლი რომ არ გამეტანა, ან ცუდად მეთამაშა, გაზეთებში დაწერდნენ, თავში აუვარდაო. ასე რომ არ მომხდარიყო, ბოლომდე ვიხარჯებოდი. მინდოდა, ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ მე მხოლოდ ახლა ვიწყებდი".

იცით, თებერვლის ბოლოს ოუენის სკოლამ ტრადიციული გახსნის ცერემონიალი აღარ ჩაატარა. რატომ? სკოლის დირექტორს შეეშინდა, მაიკლის პოპულარობამ სხვა ცნობილი სტუმრები არ შეაწუხოსო.

## მარტი

*„ჯერ არ ვარ დარწმუნებული, რომ ის ნამდვილი მეგოლეა".*

**გლენ ჰოდლი, ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი**

12 მარტი იყო, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით ასე იყო. მაიკლი ერთ-ერთ გაზეთს კითხულობდა. ახლა არც აგონდება, რომელს. რაც მთავარია, გლენ ჰოლდლის ინტერვიუ იყო დაბეჭდილი.

„ძნელია, ახალგაზრდა ბავშვზე აქედანვე აღტაცებით ისაუბრო. ის კარგი თავდამსხმელია, მაგრამ არა ბრწყინვალე. მას ჯერ მთლიანად ვერ ვენდობი. მან ნაკრებში ადგილი უნდა დაიმსახუროს" — ჰოდლის ამ ფრაზამ მაიკლი გაახარაო, ვერ ვიტყვით. დაალონა? არა, ესეც არ ითქმის.

— მახსოვს, მოგვიანებით ტელეფონმა დარეკა. ჰოდლი იყო. მან მითხრა, რომ ჟურნალისტს მისი ნათქვამი არასწორად დაეწერა. ჰოდლი მე მენდობოდა. ძალიან გამეხარდა — ამბობს მაიკლი.

მარტის ბოლოს ის კვლავ მიიწვიეს ნაკრებში. ინგლისი შვეიცარიას ხვდებოდა.

რა უნდა ქნა ფეხბურთელმა, ქვეყნის პირველ გუნდში ადგილი რომ დაიმკვიდრო?

მაიკლი: „უნდა ითამაშო, ითამაშო და ითამაშო. თუ არაფერს დაიშურებ, შენსას მიაღწევ".

მანაც ბევრს მიაღწია.

**ჟურნალ „FourFourTwo"-დან**

**თარგმნა ლაშა გოდუაძემ**

**გაგრძელება იქნება**



სარბიელის არქივიდან

გოლფი — მაიკლის ჰობი



სარბიელის არქივიდან

მაიკლ ოუენი ჩილელებთან ნაკრებში დებიუტისას

სატირბორტი

კითხვა-პასუხი

— ***ხმა აღარ ამოგეღება.***

— რატომ?

— ***აღარა თქვა, ალბიონზე თამაში იციანო.***

— უნამუსო ხალხს მაგას კი არა, სალამსაც აღარ ვეტყვი.

— ***მე ვარ უნამუსო?***

— შენც უნამუსო ხარ და ის შენი დესაიც.

— ***დესაი დიდი ფეხბურთელია.***

— დიდი ჰო, დიდი და პატარებს ჩაგრავს.

— ***რა გინდა?***

— ბიჭო, ერთი ბაღანე მყავდა და იგიც მიწყენინეთ...

— ***ადამიანურად მითხარი...***

— ადამიანურად გეტყვი: ამხელა ჯანიანი და სახელოვანი კაცი რომ ხარ, დესაი რომ გქვია, ბავშვს ეგრე უნდა დაეჯაჯგურო?

— ***რაღა ბავშვი ეგ არის, გადახნა ნახევარი მსოფლიო.***

— ბავშვს რომ ბეჭს კრავ ამ ხნის და მოყვანილობის კაცი და აუტში რომ გადააგდებ...

— ***აბა, უნდა გაატაროს?***

— მალე მოუწევს გატარება.

— ***იცი რას გეტყვი? ეგ შენი ოუენი, რაც არის, ეგეც აღარ იქნება.***

— აი, მაგიტომ ხართ უნამუსოები. ვენაცვალე, ხომ გაუკეთა ერთხელ? გააქცია გასახდელში.

— ***ერთხელ არ ითვლება. ამან ოთხჯერ წაართვა, იმან ერთხელ გაუკეთა.***

— წაართმევდა, მა რა, ბავშვი ჭიპამდე წვდებოდა.

— ***ეგრე გარინჩა ყველას ჭიპამდე წვდებოდა.***

— გარინჩა ბავშვი არ იყო.

— ***ესე იგი, დესაი უნდა დამდგარიყო და ეყურებინა, როგორ დაქროს ოუენი?***

— მთლად მასე არა, მაგრამ აი, დესაი ხარ და ბავშვს ბეჭი ჰკარი. გადააგდე და ბურთი წაართვი, არა?

— ***ჰო.***

— ჰო და მიდი, წამოაყენე, მხარზე ხელი მოუთათუნე. ხომ იცი, ვინც არის?

— ***მე დესაი ვარ, არა?***

— ჰო, შენ ხარ დესაი და ოუენს მხარზე უნდა მოუთათუნო ხელი.

— ***და თვითონ მომითათუნოს, იმიტომ, რომ დესაი ვარ, რამეები მომიგია და კაცურად მითამაშია.***

— ეეე, შენ მიმავალი ხარ, ბიჭი კიდევ მომავალი. ბიჭია, მიეფერე რა, ჯიგარი გაუკეთე.

— ***რა სადღეგრძელოებით მელაპარაკები?***

— სხვანაირად არ გამოდის.

— ***რამდენიც არ უნდა თქვა, ინგლისელებს თამაში დაავიწყდათ და ხმა არ ამოგეღება.***

— ეჰ, წამააზედა ძიასა...

— ***აბა, რომელ ძიას?***

— წამოახედა და დაანახა, ყვავ-ყორნები რომ ჩხავიან. მერე დაგისკდებოდათ გულები.

— ***რომელ ძიაზე ამბობ?***

— სერ ალფ რამსეიზე.

— ***რას იზამდა?***

— ეგეთ ლემერებს საუზმეზე იმყოფინებდა.

— ***მააამ!***

— მოგივიდათ დრო. დაიჭირეთ უილკინსონი და გიხარიათ.

— ***მაგას რა მნიშვნელობა აქვს?***

— დაჟე გაფხორილი რომ ყოფილიყო, ვერ მოიგებდით.

— ***გაფხორილი ვინღაა?***

— ინვალიდების ფილოსოფოსი.

— ***ჰოდლი? ეგეც კაი ხვითო იყო.***

— რამეებს მაინც ეუბნებოდა.

— ***და გაზა?***

— ისევ გაზას მიადექი?

— ***გაზა რომ დამალა?***

— გაზას ვერავინ დამალავს.

— ***თვით უილკინსონიც?***

— უილკინსონი კი არა, მთელი ინგლისის ცრუ მენეჯერები რომ შეიკრან, გაზას ვერ დამალავენ. შუბი ხალათში არ დაიმალება.

— ***კაი მობლაგვებული შუბი კია.***

— ჰა, ჰა, ღმერთი გიწყენს!

— ***თქვენი წამალი მე ვიცი. თქვენს წამალს ანელკა ჰქვია.***

— გამოვზარდეთ, მოვუარეთ, წვერის პარსვა დავაწყებინეთ, ჰაიბერის სიდიადეს ვაზიარეთ და ახლა ჩვენი წამალია?

— ***თქვენ ეგ არაფერი გიქნიათ. ისევ ფრანგმა გამოზარდა. ვენგერმა.***

— და ვენგერი სად არის?

— ***როგორ თუ სად?***

— ჰო, ჰო, სად არის?

— ***„არსენალში".***

— რატომ „მარსელში" არ არის?

— ***მე რა ვიცი?***

— აი, სწორედ ეგ არის საქმე. „არსენალი" ორად გაიყო და ერთმანეთს ეთამაშა, ლემერი რა შუაშია?

— ***მა ზიდანი?***

— ზიდანსაც ვნახავ წითელ ფორმაში.

# ლაციო ფიორენტინას სჯობს

ხვალ სერია A-ში „ლაციომ" „კალიარის" თუ მოუგო გახდება მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე გუნდი, რომელმაც ზედიზედ 10 შეხვედრაში მიაღწია წარმატებას. ვინ იყო წინა სამი? სანამ მათ ვინაობას დავასახელებდეთ, აღვნიშნოთ, რომ ისინი, იმ წლებში, როდესაც ზედიზედ 10 მატჩი მოიგეს, ჩემპიონები გახდნენ.

პირველი გახლდათ „იუვენტუსი". მან 1931-32 წლებში მიაღწია ასეთ წარმატებას და მეოთხე სკუდეტო მოიპოვა. მას მერე ტურინელებმა კიდევ 21-ჯერ მოიპოვეს ტიტული.

მეორე იყო „მილანი". „სან სიროს" ბინადარმა „იუვენტუსის" წარმატება 19 წლის მერე გაიმეორა. მისი ასეთი წარმატების შემოქმედი გახლდათ დიდი შვედი თავდამსხმელი გუნარ ნორდალი.

მესამედ, 1964 წელს, „ბოლონიამ" იმარჯვა ზედიზედ 10 შეხვედრაში. იმ წელიწადს ამ გუნდმა თავისი შვიდი სკუდეტოდან ბოლო მოიგო.

„ლაციომ" ახლანდელი დაუმარცხებელი სვლა 6 დეკემბერს სწორედ „იუვენტუსის" დამარცხებით დაიწყო. შემდეგ ემსხვერპლენ: „სამპდორია", „უდინეზე", „პიაჩენცა", „პერუჯა" და „ფიორენტინა" შინ, ხოლო „ბოლონია", „პარმა" და „ბარი" სტუმრად.

მოგეხსენებათ, „ლაციაოს" მთავარი კონკურენტი წლეულს „ფიორენტინაა", რომელსაც წინა ტურში მთავარი ძალა, ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა დაუშავდა.

„ბატისტუტათი თუ მის გარეშე, ჩვენ „ფიორენტინა" მაინც ვერ შეგვედრება" — განაცხადა ვეტერანმა თავდამსხმელმა რობერტო მანჩინიმ — „ბატისტუტას ტრავმა „ლაციოს" თამაშის დასაკნინებლად არავინ უნდა გამოიყენოს. ჩემი მოსაზრება ასეთია: „ფიორენტინას" თუ გავუსწარით, მერე ის ჩვენი დამწევი აღარაა!"

# ყვითელი სიმულანტებს!

ფეხბურთელები, რომლებიც ტრავმის სიმულაციას მიჰყოფენ ხელს, ავტომატურად დაისჯებიან ყვითელი ბარათით — ასეთი წესია მომდევნო შაბათიდან მოსალოდნელი. 20 თებერვალს უელსში, კერძოდ კარდიფში, საგნგებო, წესთა დამდგენი კომისია, რომელიც ბრიტანეთში შემავალი ფეხბურთის ასოციაციებისა და ფიფასგან შედგება, ყოველწლიურ შეხვედრას მოაწყობს.

ბევრი მსაჯი საკუთარი ინიციატივით, სიმულანტებს ისედაც სჯის ამიერიდან კი ეს შეიძლება კანონად იქცეს. გარდა ამისა, განიხილავენ მატჩების ორი მსაჯით მომსახურების, საფეხბურთო მოედნის ვირტუალური რეკლამებისგან განთავისუფლების, მეოთხე მსაჯის პასუხისმგებლობის გაზრდის და ახალი ექსპერიმენტების ჩატარების საკითხებს.

კიდევ: საინტერესო თემა, რომელსაც საგანგებო კომისია შეეხება, გახლავთ კარის ხაზზე ტექნოლოგიის დანერგვა. ეს მართლაც საჭირბოროტო საკითხია და ჩარევას მოითხოვს, რადგან შორს რომ არ წავიდეთ, სულ ახლახანს, ოთხშაბათს, ინგლისს საფრანგეთმა ამხანაგურ შეხვედრაში 0:2 კი არა, ფაქტობრივად 0:3 მოუგო, მაგრამ ნიკოლა ანელკას მესამე გოლი არ ჩათვალეს, რადგან მსაჯმა ვერ შენიშნა, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა.

# იუბილარ მიკი მაუსს სოლსკიაერის ეშინია



სარბიელის არქივიდან

კევინ კიგანს (მარჯვნივ) ინგლისის ნაკრების თავკაცობა არ სურს

ცოტა ხნის წინ ინგლისის ნაკრების თავკაცმა გლენ ჰოდლმა ენას კბილი რომ არ დააჭირა, სისულელეები წამოროშა და თავის ბრიყვული, თითიდან გამოწოვილი და ზოგიერთებისთვის შეურაცხმყოფელი აზრები გაზეთ „ტაიმსის" მეშვეობით საზოგადოებას გააცნო, სრულიად ინგლისმა არ აპატია და თანამდებობიდან გადააყენა.

ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის უფროსობის გადაწყვეტილებით, ნაკრებს დროებით ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ჩინოვნიკი, ჰოვარდ უილკინსონი ჩაუდგა სათავეში. ამ კაცის დებიუტი, ალბათ, ყველას კარგად გახსოვთ — უილკინსონის დამოძღვრილი ინგლისელები 10 თებერვალს სათაყვანებელ „უემბლიზე" ცხვრებივით დასდევდნენ მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებს. ეს ამბავი კი არც მთვრალ ინგლისელ ფანს აწყობს, არც ელიზაბეტ II-ს და არც არავის...

ერთი სიტყვით, ინგლისის საფეხბურთო წრეებში სრული ქაოსია. ყველაზე კარგად კი ფული არეულობის დროს „კეთდება" და ეს პლანეტის უცნობილეს ბუქმეიქერს, ფსონების შედგენაში დაბერებულ და გამდიდრებულ უილიამ ჰილს ნაღდად არ ესწავლება. ისიც აზარტულ ხალხს თავის ვერსიებს სთავაზობს. ჰილისეულ სიაში ბევრი ცნობილი გვარია — იქ ბობი რობსონიო, ტერი ვენეიბლზიო, ისევ ჰოდლიც კიო, მაგრამ ყველაზე დიდი „კუში" მაინც კევინ კიგანს უწერია. თბილისში ნამყოფ ფეხბურთელთაგან, ალბათ, ყველაზე დიდს.

თუმცა, სანამ ჰილი თავის საქმიანობით არის გართული, მისი ფავორიტი კიგანი, ვინც ადრე „ნიუკასლ იუნაიტედს" წვრთნიდა, ახლა კი მეორე დივიზიონის „ფულემს" უდგას სათავეში, ინგლისის ეროვნული გუნდის მწვრთნელობაზე სასტიკ უარს აცხადებს.

— არ ვიცი, ვინ იქნება ჰოდლის შემცვლელი, მაგრამ მე რომ არ ვიქნები, ამას წყალი არ გაუვა — თქვა სამშობლოში „მიკი მაუსად" მონათლულმა კიგანმა, რომელსაც 70-იან, 80-იან წლებში 63-ჯერ მოურგია ნაკრების მაისური.

— კონტრაქტის თანახმად, „ფულემში" კიდევ წელიწადნახევარი უნდა დავრჩე. ამიტომ მთელი ყურადღება კლუბზე მაქვს გადატანილი და მოუთმენლად ველი უქმეებს.

მომავალი კვირადღე მართლაც მნიშვნელოვანია „მიკი მაუსისთვის". ჯერ ერთი, იგი 48 წლის ხდება, მეორეც — თავის დაბადების დღეზე ინგლისის ასოციაციის თასზე მეხუთე წრის მატჩში „ფულემი" პრემიერლიგის ლიდერის „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ უნდა დამოძღვროს. სანამ ამ მართლაც საინტერესო დაპირისპირების წვრილმანებზე ვისაუბრებდეთ, სანაკრებო თემა ამოვწუროთ.

აი, რა თქვა კიგანის ეროვნულ გუნდში შესაძლო მისვლასთან დაკავშირებით მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ჯიბესქელმა პიროვნებამ, პრინცესა დაიანას თითქმის მამამთილმა და „ფულემის" მეპატრონემ, მუჰამედ ალ ფაიედმა.

— კევინს უყვარს „ფულემი", მე ვგრძნობ ამას. დარჩენაც უნდა. მაგრამ თუ ვინმე მოვა ჩემთან, მეტყვის, რომ კიგანი საჭიროა ნაკრებში და ამას დამიმტკიცებს, მაშინ ჩემი პრობლემა აღარ იარსებებს, მისთვის ინგლისის გუნდისკენ გზა ხსნილი იქნება, იმიტომ, რომ ეს არის კაცი, რომლისთვისაც ფეხბურთში საიდუმლო არ არსებობს.

ახლა მომავალ მატჩზე ვისაუბროთ. დავიწყოთ იქიდან, რომ კიგანი და მანჩესტერელთა სქოთი დამრიგებელი ალექს ფერგიუსონი ძმაკაცები არიან — მათ გულთბილ ურთიერთობას ვერც 1996 წელს მომხდარმა ამბებმა დაასვა დაღი. შეგახსენებთ — მაშინ, პრემიერლიგის გათამაშების დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, კიგანის „ნიუკასლი" კონკურენტ „მანჩესტერს" მთელი 12 ქულით უსწრებდა, მაგრამ მოხდა სასწაული და ჩემპიონობა ფერგიუსონის ბიჭებმა მოიპოვეს, დამწუხრებული, იმედგაცრუებული „მიკი მაუსი" კი მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

— უბედნიერესი კაცი ვიქნები, „იუნაიტედს" რომ მოვუგოთ, უბედნიერესი — თქვა ერთ-ერთ ბოლო სატელევიზიო ინტერვიუში კიგანმა და სახეზე ისეთმა სიმწრის ღიმილმა გადაურბინა, კინაღამ ცრემლები წასკდა.

— მე და ალექსს ბევრი საერთო გვაქვს. მაგალითად, ძალიან ხშირად დავდივართ საცხენოსნო შეჯიბრების საცქერლად. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებსაც ერთად ვაშუქებდით ტელევიზიაში და მის კომპანიაში მშვენივრად ვგრძნობდი თავს. მეგობრები ვართ? დიახ, მე მას მეგობარს ვეძახი. შეგიძლიათ ჰკითხოთ, თავად რას ფიქრობს ჩემზე.

ასოციაციის გათამაშების წინა წრეებში „ფულემმა" სასწაულები ჩაიდინა — ორი პრემიერლიგური გუნდი გააბითურა. ჯერ ერთ-ერთი აუტსაიდერი „საუთჰემპტონი", შემდეგ ჩემპიონობისთვის მებრძოლი ბირმინგემული „ასტონ ვილა". კიგანს „მანჩესტერის" ძლევის იმედიც აქვს, ოღონდ...

— რამდენიმე დღის წინ, მას შემდეგ, რაც ოლე გუნარ სოლსკიაერმა „ნოტინგემთან" შეხვედრის ბოლო წუთებზე ოთხი გოლი გაიტანა, ფერგიუსონმა თქვა, ბიჭს (სოლსკიაერს) „ფულემთან" მატჩში ძირითადში დავაყენებო. დიდი იმედი მაქვს, ალექსი თავის სიტყვას გატეხს და ეს ნორვეგიელი ჭაბუკი კვლავ ბოლო 10 წუთს ითამაშებს. ჩემი ერთადერთი თავსატეხი სწორედ სოლსკიაერია — 10 წუთი კიდევ გავუძლებთ, მთელი შეხვედრა კი არა მგონია.

დავით კოპზირიძე

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ჩარლტონი — ლივერპული | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ვესტ ჰემი — ნოტინგემი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ბოლტონი — ვესტ ჰრომვიჩი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბრედფორდი — იფსვიჩი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბრისტოლი — სანდერლენდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| კრისტალ პალასი — ქრიუ | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ოქსფორდი — სვინდონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — ბერი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| სტოკპორტი — ბირმინგემი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ტრანმერი — ქუინზ პარკი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვულვერჰემპტონი — პორტ ვეილი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**ინგლისის თასის მერვედფინალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| არსენალი — შეფილდ იუნ. (I) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ჰადერსფილდი (I) — დერბი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ლიდსი — ტოტენჰემი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბარნსლი (I) — ბრისტოლი (II) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შეფილდ უენსდეი — ჩელსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ევერტონი — ქოვენთრი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 14 თებერვალი | | | |
| ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მანჩესტერი — ფულემი (II) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 თებერვალი | | | |
| პარმა — ბოლონია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| უდინეზე — ფიორენტინა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| პერუჯა — ინტერი | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| პიაჩენცა — იუვენტუსი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| კალიარი — ლაციო | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ემპოლი — სალერნიტანა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რომა — სამპდორია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მილანი — ვენეცია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ბარი — ვიჩენცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ჩეზენა — რავენა | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| 14 თებერვალი | | | |
| კოვეო — კოზენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| ფ. ანდრია — კრემონეზე | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ტრევიზო — ლეჩე | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| ბრეშა — ლუკეზე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ჯენოა — მონცა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| რეჯინა — ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ატალანტა — პესკარა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ტორინო — ტერნანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| რეჯანა — ვერონა | 3,2 | 2,7 | 2,2 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| მალიორკა — სოსიედადი | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| ატლეტიკო — ესპანიოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| დეპორტივო — სალამანკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 14 თებერვალი | | | |
| ტენერიფე — ოვიედო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვილიარეალი — ვალენსია | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| ვალიადოლიდი — სელტა | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ბარსელონა — რეალი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ბილბაო — ესტრემადურა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბეტისი — რასინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სარაგოსა — ალავესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXIV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ბადახოსი — ნუმანსია | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| ოსასუნა — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ალბასეტე — ატლეტიკო B | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ეიბარი — ლას პალმასი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 14 თებერვალი | | | |
| ლეგანესი — კომპოსტელა (15$^{00}$) | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბარსელონა B — რაიო (15$^{00}$) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ტოლედო — მალიორკა B (15$^{00}$) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რეკრეატივო — ორენსე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| მერიდა — სევილია | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ერკულესი — ლოგრონიესი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| სპორტინგი — მალაგა | 3,2 | 2,7 | 2,2 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ბორდო — ბასტია | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| მონაკო — რენი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ლორიანი — მონპელიე | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ლანსი — პსჟ | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლიონი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სტრასბური — ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 14 თებერვალი | | | |
| ნანსი — მეცი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ტულუზი — მარსელი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი. XXII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| რიუ ავე — აკადემიკა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბეირა მარი — შავეში | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ფარენსე — სეტუბალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლეირია — კამპომაიორენსე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| მარიტიმუ — ბენფიკა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| გიმარაეში — პორტუ | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ალვერკა — ბრაგა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 14 თებერვალი | | | |
| ამადორა — სპორტინგი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 თებერვალი | | | |
| სპარტა — უტრეხტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ალკმაარი — ფეიენოორდი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ტვენტე — აიაქსი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| კამბური — როდა | 3,4 | 2,9 | 2,0 |

**ბელგიის ჩემპიონატი. XXIII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ანდერლეხტი — ეკერენი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ლომელი — სტ. ტრუიდენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| გენტი — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სტანდარდი — შარლერუა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლოკერენი — ვესტერლო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| აალსტი — გენკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 14 თებერვალი | | | |
| ოსტენდე — ბევერენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჰარელბეკი — ბრიუგე | 5,3 | 3,1 | 1,6 |

**შოტლანდიის თასის მერვედფინალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| მოზერველი — ჰიბერნიანი (I) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ლივინგსტონი (II) — სტ. ჯონსტონი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 14 თებერვალი | | | |
| ჰამილტონი — რეინჯერსი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

**თურქეთის ჩემპიონატი. XX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ერზურუმი — სამსუნი (14$^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ალთაი — საქარია (15$^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ქარაბუქი — ისთანბული (15$^{30}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ანთალია — ანკარა (15$^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გაზიანთეფი — ბეშიქთაში | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 14 თებერვალი | | | |
| გენჩლერბირ. — დარდანელი (15$^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბურსა — ტრაბზონი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ფენერბაჩე — ადანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

**ჰოკეი NHL**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 თებერვალი | | | |
| ბუფალო — აილენდერსი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ტორონტო — ჩიკაგო | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| მონრეალი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ოტავა — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ნიუ ჯერსი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ტამპა ბეი — სან ხოსე | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| სენტ ლუისი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ნეშვილი — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კოლორადო — ფინიქსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვანკუვერი — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ლოს ანჯელესი — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| 14 თებერვალი | | | |
| რეინჯერსი — დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კოლორადო — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფინიქსი — ანაჰაიმი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 15 თებერვალი | | | |
| ბუფალო — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ოტავა — ჩიკაგო | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ნიუ ჯერსი — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| აილენდერსი — ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| პიტსბურგი — ვაშინგტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფლორიდა — სან ხოსე | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სტ. ლუისი — ვანკუვერი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ნეშვილი — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — ედმონტონი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რეგულარული ჩემპიონატი

# საბჭოეთის აჩრდილი

11 თებერვალი

### კლივლენდი 99:89 სან ანტონიო

**კლივლენდი:** ნაითი (9), პერსონი (8), ჰენდერსონი (4), კემპი (25 ქულა, 12 მოხსნა), ილგაუსკასი (17); პოტაპენკო (14), ანდერსონი (14), ნიუმენი (4), სურა (4), ფერი

**სან ანტონიო:** ჯონსონი (10), ჯეკსონი (6), ელიოტი (6), დანკანი (31 ქულა, 14 მოხსნა), რობინსონი (16); ელი (9), კერსი (5), როუზი (4), კერი (2), კინგი, დანიელსი

1993 წლის 29 მარტს, როცა მწვრთნელად ლენი ვილკენსი და ლიდერად სუპერგამთამაშებელი მარკ პრაისი ჰყავდა, „კლივლენდ კავალიერზმა“ 129:90 მოუგო „სან ანტონიო სფურზს“. იმ თამაშში მარკ პრაისმა 18 პასი ჩამოურიგა თანაგუნდელებს და მისმა გუნდმა დევიდ რობინსონისას შანსი არ დაუტოვა. ეს იყო და ეს, შემდეგ სან ანტონიომ შინაც და გარეთაც დაჯაბნა იმ დღეს მისი მძლეველი და ზედიზედ ათი თამაში მოუგო. 11 თებერვალს კლივლენდმა, რომელსაც ახლა მაიკ ფრატელო წვრთნის და თავდამსხმელი შონ კემპი ჰყავს ლიდერად, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და ხუთი წლის განმავლობაში მისი დამჩაგვრელი ბეჭებზე დასცა. ნამდვილი ბრძოლა გაიმართა — შონ კემპსა და ტიმ დანკანს შორის. მათ ერთმანეთი გააწამეს, თავივისიანებში საუკეთესონი იყვნენ. განსაკუთრებით ეს დანკანზე ითქმის, რომელმაც ახალი სეზონი საკმაოდ კარგად დაიწყო და არც დაღმასვლისას ეტყობა რამე. სან ანტონიოს ხელმძღვანელობას სხვა დარდი აწუხებს — ახალ სეზონში დევიდ რობინსონი ნამდვილად ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე და მაინცდამაინც ვერც კლივლენდთან გამოიჩინა თავი, საბჭოეთის ყოფილი რესპუბლიკების შვილებმა — ლიტველმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა და უკრაინელმა ვიტალი პოტაპენკომ არ მისცეს ამის საშუალება. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი დევიდ რობინსონი საბჭოელებს, განსაკუთრებით კი ლიტველებს ჯერ კიდევ შორეული 1988 წლიდან უფრთხის, როდესაც სეულის ოლიმპიადაზე სრული კრახი განიცადა არვიდას საბონისთან. კლივლენდი ძალიან გაუხარებია უხერხულ მეტოქესთან გამარჯვებას. ეს შონ კემპმა მატჩის ბოლოს აღნიშნა და ისიც თქვა, სან ანტონიო დიდი მოთამაშეების (ალბათ, დანკანი და რობინსონი იგულისხმა) იმედად გვესტუმრა, მაგრამ ის კი დაავიწყდა, რომ ჩვენც არანაკლები დიდები გვყავდაო.

REUTERS კლივლენდიდან




კლივლენდი — სან ანტონიო. სტუმართა სახელოვანი ცენტრი დევიდ რობინსონი (ბურთით) კლივლენდელებმა გვარიანად „გაჭყლიტეს“

### მაიამი 102:84 ტორონტო

**მაიამი:** ჰარდევეი (27 ქულა, 9 პასი), მურნინგი (18)

**ტორონტო:** კრისტი (20)

როგორც იქნა, მაიამიმ შინ მოიგო, თან მესამე ცდაზე და ისიც — „ტორონტო რეპტორზსთან“, ვისაც მაინცდამაინც დიდი პრეტენზიები არა აქვს. მშვენივრად გაისარჯნენ მაიამის უკანახაზელები — გამთამაშებელი ტიმ ჰარდევეი და დაშავებული ახალგაზრდა ვოშონ ლენარდის შემცვლელი, ერთ დროს საკმაოდ კარგი მოთამაშე ტერი პორტერი. ამ დუეტმა მესამე მეოთხედში 21 ქულა მიითვალა და ამ დროს გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. უსუსური ტორონტო მანამდეც ძლივს უწევდა წინააღმდეგობას ფლორიდულ გუნდს, მერე კი გატყდა — მთელი 18 ქულით დათმო შეხვედრა.

### ატლანტა 100:88 შარლოტი

**ატლანტა:** სმიტი (171)

**შარლოტი:** კოულმენი (17 ქულა, 13 მოხსნა)

ატლანტამ პირწმინდად დაჩაგრა მეზობელი შარლოტი. ჯერ კიდევ პირველ მეოთხედში ჯორჯიელებმა 21(!) ქულით იძალეს და რაღა გასაკვირია, რომ ისედაც ლიდერებდაშავებულ და ერთობ შესუსტებულ შარლოტს ვერ მოეხერხებინა მატჩის გადარჩენა. შარლოტმა ფარიც დათმო, რაც ატლანტის ზაირელი ცენტრის — დიკემბე მუტომბოს „ბრალია“: მან 18 ბურთი მოხსნა და თავისიანებს ფარი 50:33 მოაგებინა.

### დეტროიტი 81:87 ორლანდო

**დეტროიტი:** ჰილი (25), დელი (21 ქულა, 12 მოხსნა)

**ორლანდო:** ჰარდევეი (22)

„ორლანდო მეჯიქმა“ და განსაკუთრებით მისმა ლიდერმა ანფერნი ჰარდევეიმ მშვენიერი გაკვეთილი ჩაუტარეს დეტროიტს, ვის თავდასხმასაც ერთობ გაუჭირდა პირველ ნახევარში სტუმართა სალი კლდესავით ალმართულ ბარიერის გადალახვა. მშვენიერი დაცვის წყალობით ორლანდო მაშინვე 12 ქულას იგებდა და სულ იოლად მოახერხა უპირატესობის შენარჩუნება. მეორე ნახევარში კი თავი შეირცხვინა მასპინძელთა ლიდერმა გრანტ ჰილმა — პირველ ნახევარში 20 ქულა გააკეთა, მეორეში მხოლოდ ხუთს დაკმაყოფილდა, მისმა დეტროიტმა კი ზედიზედ სამი მოგების შემდეგ მეორე თამაში წააგო.

### მინესოტა 86:75 ლეიკერსი

**მინესოტა:** გარნეტი (21), მიჩელი (20)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (24 ქულა, 10 მოხსნა)

ლეიკერსს დიდი პრობლემები გაუჩნდა თავდასხმაში, რადგან გუნდის უპირველეს ბომბარდირს, დევივით შაკილ ონილს მუცლის კუნთი დასჭიმვია დენვერთან მოგებულ თამაშში და მინესოტელ მგლებთან ვერაფრით დაეხმარა თავისიანებს. ლიდერობა, რაღა თქმა უნდა, ყმაწვილკაცმა კობი ბრაიანტმა იტვირთა და თავის გუნდში ყველას აჯობა ქულებშიც და მოხსნებშიც. თუმც მარტო ვერას გახდა, რადგან იგი ლეიკერსელთაგან ერთადერთი იყო, ვისი მონაგარიც ორნიშნა ციფრით გამოიხატა.

### მილუოკი 95:75 ნიუ ჯერსი

**მილუოკი:** ალენი (19), რობინსონი (18)

**ნიუ ჯერსი:** ბარელი (17)

ნიუ ჯერსის დაუბრუნდა ერთ-ერთი ლიდერი, კერი კიტლზი, რომელსაც მუხლის ტრავმა აწუხებდა და 15 ქულაც მიითვალა, მაგრამ შარშანდელთან შედარებით შესუსტებულმა ნიუ ჯერსიმ მაინც სასტიკად წააგო საკმაოდ მოღონიერებულ მილუოკისთან, ვისაც ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა თავისი ხელი უმალ დაატყო და სეზონის მესამე თამაშიც იოლად მოაგებინა.

### დალასი 95:105 ჰიუსტონი

**დალასი:** პეკი (31)

**ჰიუსტონი:** დიკერსონი (21), ბარკლი (16 ქულა, 15 მოხსნა)

ტეხასური დალასი თანაშტატელ ჰიუსტონს მთელი მატჩის გამავლობაში ტოლ-სწორად ეთამაშა და ბოლო მეოთხედის მეოთხე წუთზე 84:83 დაწინაურდა. თუმც, შემდეგ, ჰიუსტონის გამოცდილებამ და ახალბედა მაიკლ დიკერსონის მონდომებამ თავისი გაიტანა და უფრო ტიტულოვანმა ჰიუსტონმა ხუთი თამაშიდან მეოთხე მოიგო.

### ჩიკაგო 68:73 ნიუ იორკი

**ჩიკაგო:** ბერი (15)

**ნიუ იორკი:** იუინგი (18)

ის დრო, როდესაც ნიუ იორკი და ჩიკაგო ერთმანეთს ეომებოდნენ, წარსულს ჩაბარდა. უძლეველიდან საშუალოზე დაბალ დონის გუნდამდე ჩამოქვეითებულმა ჩიკაგომ, წინააღმდეგობა ვერ გაუწია ნიუ იორკს, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში და არც სტუმრებს მოუკლავთ მაინცდამაინც თავი, ისე მოიგეს შეხვედრა.

### ფინიქსი 74:82 იუტა

**ფინიქსი:** გულიტა (18 ქულა, 12 მოხსნა)

**იუტა:** მელოუნი (22)

ფინიქსს სანზს ოთხი თამაშიდან ორი მოგება აქვს, რასაც ცუდი შედეგი არ ეთქმის, მაგრამ გუნდისთვის საგანგაშო ის არის, რომ იგი, ფაქტობრივად, ორი კაცის, გულიტასა და კიდის ამარა თამაშობს. რექს ჩეპმენს, კლიფ რობინსითს და დენი მენინგს ამ სეზონში ჯერ ღირებული არაფერი გაუკეთებიათ და ვერც იუტასთან გამოიჩინეს თავი. ჩემპიონობის უპირველესმა ფავორიტმა იუტა ჯაზმა კი, უკვე ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო.

### ვანკუვერი 97:101 ინდიანა

**ვანკუვერი:** აბდურ-რაჰიმი (32 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა)

**ინდიანა:** სმიტსი (24), მილერი (19)

წინა შეხვედრაში კლიპერსთან გამარჯვების შემდეგ ვანკუვერმა ინდიანას ძლევაც მოინდომა და ბოლო წუთებამდეც ტოლი არაფერში დაუდო. თუმცა ინდიანასა კლიპერსი არაა და ლარი ბერდის შეგირდებმაც, კლიპერსისგან განსხვავებით, ბოლო წუთებში მოახერხეს მასპინძელთა გატეხვა. „ჩვენ წასაგები თამაშები არა გვაქვს, მოგება გვჭირდება და ვიყავით კიდეც ამისათვის მზად. ისე, ვანკუვერი სულაც არაა ურიგო გუნდი და შეეძლო კიდეც გამარჯვება“ — თქვა ინდიანას სნაიპერმა რეჯი მილერმა, რომელმაც ბოლო ორ წუთში ხუთი უმნიშვნელოვანესი ქულა მიითვალა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ევროლიგა. მე-15 ტური. 10-11 თებერვალი

### E ჯგუფი

#### ტდკ 78:80 ჟალგირისი

**ტდკ:** კაპ დე ვილა (6), კრეუსი (6), გონსალესი (3), ლავინა (4), მილი (17), მონტანესი (7), მოია (12), სინგლა, ვასკესი (16), ვილიამსი (7)

**ჟალგირისი:** ატომაიტისი (1), ბოუი (16), იდნი (3), გუსტასი, მასიულისი (7), მასკოლიუნასი (12), შესტოკასი (8), შტრომბერგასი (17), ზიდეკი (8), ჟუკაუსკასი (14)

#### ცრვენა ზვეზდა 75:85 პო ორტეზი

**ცრვენა ზვეზდა:** ბოლიჩი (4), იესტრატიევიჩი (13), პავიჩევიჩი (4), ს. პეკოვიჩი (3), ო. პეკოვიჩი (9), რაკოჩევიჩი (12), სტანოევიჩი (2), ტოპიჩი (24), ვიდაჩიჩი (4)

**პო ორტეზი:** აიშა (4), დევისი (27), ევოდო, ფატუ (16), ფუარე (20), დ. გადუ (1), ტ. გადუ (2), გრანტი (18), სმიტი (11)

#### ციბონა 85:84 ფენერბაჰჩე

**ციბონა:** ატკინსი (7), ბაგარიჩი (4), გრგატი (7), კრსტიჩი (13), მარცელიჩი (23), ნიჩევიჩი (2), პრკაჩინი (15), ზემლიჩი (2)

**ფენერბაჰჩე:** აბი (4), აპაიდინი (5), ენდენი, გილმორი (5), კალამიზა (9), ქუთლუაი (39), ლოხმანჩუკი (2), მაკრეი (6), ტაბაკი (14)

### F ჯგუფი

#### ავტოდორი 83:73 მაკაბი

**ავტოდორი:** ეინიკისი (4), ფეტისოვი (19), ხიუნიაკი (6), ხრიაპა, მილოსერდოვი, ზ. პაშუტინი (28), ე. პაშუტინი (5), ჩიკალკინი (21)

**მაკაბი:** ალექსანდერი (25), ბენუა (15), გუდესი (11), ჰენფელდი (2), კატაში (14), პოპა, რადუნოვიჩი, შარფი, შეფერი (6)

#### ვარეზე 63:54 პანათინაიკოსი

**ვარეზე:** გალანდა (2), დე პოლი (2), ჯადინი, მენეგინი (12), მრსიჩი (13), პოცეკო (9), სანტიაგო (14), ვესკოვი (11), ზანუსფორტი

**პანათინაიკოსი:** ალვერტისი (14), ბუდურისი, ბურკი, ეკონომუ (12), ფოცისი (2), ჯენტილე (6), ჰუპმანი, კალაიძისი, პატავუკასი (11), რაჯა (9)

#### ტაუგრესი 83:61 ეფესი

**ტაუგრესი:** ანგულო (5), ბენეტი (1), ბერიჩი (13), ესპილი (24), პორტილა (2), მილერა (2), ორტუნი, რუსკონი (11), სანდერსი (9), ვინტერსი (16)

**ეფესი:** აიდინი (2), ბეშოქი (16), დალი (2), დრობნიაკი (6), ევლიაოღლუ (3), ონანი (7), სარიჯა (2), სავიჩი (5), თურქჯანი (12), თურქოღლუ (6)

### G ჯგუფი

#### ტიმსისტემი 67:65 კინდერი

**ტიმსისტემი:** ბეტსი, დამიო, ფუჩკა (16), გაი, კარნიშოვასი (13), ლაცისი (1), მულაომეროვიჩი (11), მაიერსი (20), პილუტი (6)

**კინდერი:** ბინელი (6), კრიპა (4), ფროსინი (7), მაკრესი (ნესტეროვიჩი) (18), ოსალივანი, პანიჩი, რიგოდო (21), რუინი, სკონოჩინი (9)

#### პაოკ 72:66 ოლიმპიაკოსი

**პაოკ:** ბალოიანისი (8), ბერი (19), კოლდებელა (1), დესპოსი, ჟანულისი (11), კინგი (20), მასლარინოსი (7), მორალესი (2), ნიკოლაიდისი (4)

**ოლიმპიაკოსი:** ადემანსა, კომაზეცი (16), ობერტო (13), პაპანიკოლაუ, როჯერსი (14), სულისი, ტარლაკი (5), ტომიჩი (15), ცალიკისი (3)

#### სამარა 62:89 ცსკა

**სამარა:** დოლოპჩი (5), დონსკოვი (2), ევანსი (6), გარჩინე (3), გრაჩოვი (13), იაილო (12), კისელიოვი (1), მალცევი (2), პეტენევი (12), სავკინი (6)

**ცსკა:** დაინეკო (14), დომანი (3), კარასიოვი (15), კირილენკო (15), კისურინი (8), კუდელინი (9), ნოსოვი (9), პანოვი (10), ტიხონენკო (4), ვეტრა (2)

### H ჯგუფი

#### ალბა 79:64 რეალი

**ალბა:** ალექსისი (11), ბოგოევიჩი (6), ფემერლინგი (2), გარისი (14), ჰამინკი (12), ლუტკე (8), პეშიჩი (6), როდლი (18), შულცე (2)

**რეალი:** ანგულო (4), ბერდი (11), ერეროსი (8), იტურბე (10), ლასა (5), ლიუკი (2), მარტინი (14), სანტოსი (3), სტრიულენსი (7)

#### ზადარი 61:72 ოლიმპია

**ზადარი:** ერცეგოვიჩი (7), ერიავეჩი (10), კოვაჩიჩი (13), ლუისი (13), მუიაჯიჩი, ნაგლიჩი (12), პესტიჩი, ი. რუჟიჩი, ტ. რუჟიჩი (6)

**ოლიმპია:** დუშჩაკი (15), გოლემაცი (1), იურკოვიჩი (4), კოტნიჩი (5), კრალევიჩი (2), მაკდონალდი (27), მუტავჯიჩი, ნოვაკი, ტეილორი (7), სდოვცი (11)

#### ულქერი 86:64 ვილერბანი

**ულქერი:** ალიპოჯიჩი (12), ანდერსონი (16), ერდენაი (22), ფირინჯიოღლუ (10), რენკინი (13), ილდირიმი (13)

**ვილერბანი:** ადამსი (4), ბილბა (7), ბლომი (5), დიგბო (16), ჰენრი (17), პერსევო (4), პლუვი (7), რადი (4)

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟალგირისი | | 70:67 | 64:59 | 18.02 | 91:65 | 75:66 | 12 | 3 | 1195:1110 | 27 |
| 2 | პო ორტეზი | 56:66 | | 73:48 | 76:79 | 70:61 | 18.02 | 8 | 7 | 1107:1063 | 23 |
| 3 | ფენერბაჰჩე | 99:84 | 78:71 | | 66:61 | 17.02 | 76:66 | 8 | 7 | 1131:1127 | 23 |
| 4 | ციბონა | 71:79 | 66:56 | 85:84 | | 77:80 | 54:61 | 7 | 8 | 1040:1073 | 22 |
| 5 | ცრვენა ზვეზდა | 77:69 | 75:85 | 88:66 | 66:69 | | 88:60 | 4 | 11 | 1061:1107 | 19 |
| 6 | ტდკ | 78:80 | 51:69 | 71:62 | 67:79 | 74:59 | | 4 | 11 | 978:1075 | 19 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 77:63 | 82:71 | 18.02 | 67:58 | 86:76 | 14 | 1 | 1125:985 | 29 |
| 2 | ეფესი | 53:80 | | 83:72 | 71:67 | 81:74 | 18.02 | 10 | 5 | 1059:1057 | 25 |
| 3 | ვარეზე | 63:54 | 67:57 | | 86:78 | 100:86 | 95:73 | 7 | 8 | 1175:1183 | 22 |
| 4 | ტაუგრესი | 74:77 | 83:61 | 75:72 | | 79:76 | 80:60 | 7 | 8 | 1145:1166 | 22 |
| 5 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | 18.02 | 104:64 | | 92:69 | 6 | 9 | 1131:1083 | 21 |
| 6 | ავტოდორი | 73:76 | 66:77 | 73:70 | 64:81 | 83:73 | | 3 | 12 | 1099:1217 | 18 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | | 55:50 | 74:76 | 17.02 | 57:71 | 85:63 | 11 | 4 | 1098:1013 | 26 |
| 2 | კინდერი | 67:72 | | 86:65 | 72:74 | 78:56 | 18.02 | 9 | 6 | 1019:916 | 24 |
| 3 | ცსკა | 75:81 | 62:70 | | 69:67 | 17.02 | 79:68 | 9 | 6 | 1129:1088 | 24 |
| 4 | ტიმსისტემი | 60:63 | 67:65 | 83:69 | | 76:61 | 77:58 | 8 | 7 | 1027:977 | 23 |
| 5 | პაოკ | 72:66 | 71:57 | 69:71 | 68:59 | | 85:66 | 7 | 8 | 1061:1067 | 22 |
| 6 | სამარა | 70:81 | 61:71 | 62:89 | 59:71 | 84:77 | | 1 | 14 | 1009:1246 | 16 |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპია | | 64:54 | 76:84 | 18.02 | 66:59 | 76:65 | 12 | 3 | 1062:952 | 27 |
| 2 | ვილერბანი | 77:68 | | 77:73 | 72:56 | 18.02 | 69:61 | 9 | 6 | 1061:1050 | 24 |
| 3 | რეალი | 67:68 | 71:70 | | 72:85 | 74:63 | 18.02 | 8 | 7 | 1161:1122 | 23 |
| 4 | ულქერი | 61:71 | 86:64 | 85:83 | | 76:65 | 62:55 | 7 | 8 | 1048:1088 | 22 |
| 5 | ალბა | 57:75 | 73:71 | 79:64 | 87:63 | | 78:85 | 5 | 10 | 1056:1138 | 20 |
| 6 | ზადარი | 61:72 | 74:56 | 68:73 | 73:85 | 79:82 | | 4 | 11 | 989:1063 | 19 |

# სირიის გზაზე მდგომმა ლევან მოსეშვილმა არ იცის, მოუყრის თუ არა თავს ნაკრებს

დასაწყისი პირველ გვერდზე

„ჩვენი სირიაში გამგზავრება არცთუ მომხიბვლელი პერსპექტივაა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ნაკრების მწვრთნელი ვარ და, ბუნებრივია, გუნდში სასურველი მოთამაშეების ხილვა მსურს, მაგრამ ახლახან დამირეკეს და მაცნობეს, შესაძლოა, ლატვია-იტალიას ულეგიონერებოდ დავუხვდეთო. მიზეზი, რა თქმა უნდა, უსახსრობაა, თუმცა იმედს არ ვკარგავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ საქართველოში მოთამაშე კალათბურთელებით მოგვიწევს გუნდის დაკომპლექტება, რაც შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს. საეჭვოა, აქ ისეთი ათი მოთამაშე მოვიძიოთ, რომლებიც ფიბაში გაგზავნილ განაცხადში არიან შეყვანილნი. კაცნაკლულობის შემთხვევაში კი საკმაოდ სერიოზული სანქციები გველის."

თავად ფაქტი, რომ შესაძლოა ნაკრებს საზღვარგარეთ მობურთალნი ვერ შეეშველონ, თავისთავად უპრეცედენტოა. კომენტარისგან შეგნებულად თავს ვიკავებთ და მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე მოგახსენებთ.

ლევან მოსეშვილი თავისი ამალით უკვე გზაზე იდგა, როცა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ დუდუ დადიანს შევეხმიანეთ იმ იმედით, რომ რაიმე სახეიროს გვეტყოდა. დადიანი ფედერაციის პრეზიდენტ გოგი ქათამაძესთან ერთად ის იყო, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის კაბინეტიდან ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გამოსულიყო. თუ რაზე მსჯელობდნენ ზემოთ ნახსენები პირები, ძნელი მისახვედრი სულაც არ გახლავთ:

„ერთი რამ ნათელია — სახელმწიფო სპორტის დეპარტამენტს ფულს ვერ უნაღდებს, დეპარტამენტი კი — კალათბურთის ფედერაციას. აქედან გამომდინარე, თანხა, რომელიც ლეგიონერების ჩამოსაყვანად გვჭირდება, ფაქტობრივად, არ არსებობს, მაგრამ...

მე და ქათამაძემ გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეს პრობლემა ჩვენვე მოვაგვაროთ. ერთი სიტყვით, ლეგიონერების საკითხს ჩვენ თავზე ვიღებთ, თითოეულ მათგანს უკვე შევეხმიანეთ და, თუ ვინმე ვერ ან არ ჩამოვა, ეს მხოლოდ მათი პირადი მოსაზრების გამო მოხდება. რა თქმა უნდა, არც ტრავმას გამოვრიცხავთ."

ნიშანდობლივია, რომ დადიანის ამ განცხადების თაობაზე სირიის გზაზე დამდგარმა ლევან მოსეშვილმა არაფერი იცოდა, ანაც ჩვენთან საუბრისას აარიდა თავი. აი, შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების წევრთა ვინაობა კი გაგვანდო: ირაკლი ჯაფარიძე, არჩილ ჟღენტი, ვასილ ოთიურიძე, ირაკლი ხოშტარია, გიორგი გაგნიძე. ხუთდღიან მომქანცველ მგზავრობას გადაურჩა ვითელი მამუკა აბრამიძე, რომელიც მოგვიანებით შეუერთდება გუნდს. გაურკვეველია კაპიტან ვატო ნაცვლიშვილის ბედი, რომელიც დღე-დღეზე ესპანური კლუბიდან ელოდება ზარს. ნაკრებში გამოძახებულ ლეგიონერთა სია კი ასეთია: ვლადიმერ ბოისა, რევაზ ჩხეიძე, ირაკლი ვაშაკიძე, ვაკო ბეჟანიშვილი, ირაკლი მაისურაძე, დავით ბერძენიშვილი, ლევან ქარაბაკი.

**გიორგი ბიკაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი 15 ტური ანონსი

### ვითა — თსუ

„ვითა" ბოლო ხანს მეტად დამაჯერებლად გამოიყურება. ექვსგზის ჩემპიონებმა ორგანიზებული დაცვითა და დამუშავებული კომბინაციური თამაშით არც ერთ მოწინააღმდეგეს არ დაუტოვეს წარმატების შანსი.

პირველი წრის უსიამოვნებები უკვე წარსულს ჩაბარდა და მოედანზე ჯერაც დაუმარცხებელი ვითელები უფრო და უფრო მაღლა მიიწევენ სატურნირო ცხრილში.

საეჭვოა, ჩემპიონებს ამ გზაზე სტუდენტები გადაეღობონ. მეტოქისგან განსხვავებით, თსუ-მ მკვეთრად უკლო თამაშს. მეორე წრეში მათ ყველა პრინციპული შეხვედრა დათმეს, სულ ბოლოს კი გათამაშების ლიდერ რუსთავის „აზოტთან" გვარიანად შერცხვნენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სტუდენტურ გუნდს მხოლოდ დროებითი ჩავარდნა აქვს, რაც ადრე თუ გვიან თითქმის ყველას ემართება და მწვრთნელებიც ყველა ღონეს იხმარენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

თუმცა აქ ვითელთა უპირატესობაც უნდა ვაღიაროთ. ამ გუნდის ყველა სათამაშო რგოლი თანაბარძალოვანი კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული და არც სრულფასოვანი შემცვლელების სიმცირეს განიცდიან. სტუდენტები განსაკუთრებით მეტოქე უკანახაზელებს უნდა უფრთხოდნენ. აბრამიძე-დავითულიანის დუეტი ნებისმიერს დიდ თავსატეხს უჩენს, მათთან ერთად კი თავდამსხმელები — ჩუბინიძე, ორმოცაძე, კოკოლიშვილი მოქმედებენ ღირსეულად.

თავის მხრივ თსუ-ს ცენტრის, ხელაშვილის ეიმედება, რომელსაც ფარზე ორთაბრძოლებში ნორჩი მარკოიშვილი ეხმარება და არცთუ ურიგოდ. დამრტყმელ ძალად კი წოწელია-დიმიტრიადის ტანდემი უნდა მივიჩნიოთ, რომელთა თამაშზეც დიდად იქნება დამოკიდებული სტუდენტთა ბედი.

**გიორგი ბიკაშვილი**

### სდასუ — ასკ

წინა ტურში „დინამოსთან" ერთი ქულის წაგებით ნირწამხდარი სდასუ დღეს ასკ-ს შეებმება და, ბუნებრივია, არმიელებზე გამარჯვებით ხასიათის გამოკეთებას შეეცდება. სტუდენტებმა მართლაც რომ დასანანი მარცხი იწვნიეს დინამოელთაგან, რაც მხოლოდ თავიანთ თავს უნდა დააბრალონ, თითქმის მოგებული თამაში ბოლო წამებზეღა დათმეს, რაც ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ მათი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი საზღვარგარეთ იმყოფება და უმისოდ დარჩენილი სტუდენტობა აშკარად მოიკოჭლებდა თამაშის ორგანიზებაში.

კანდელაკი გუნდს ვერც ამჯერად დაეხმარება, თუმცა სდასუელებს არმიული კლუბის სახით არც მაინცდამაინც მრისხანე მეტოქე ეყოლებათ. ასკ მეორე წრიდან ცხრა წაგებით ჩაება ჩემპიონატში და ბედად არც გათამაშების ცხრილმა გაუმართლა — თავიდანვე პირველობის ფავორიტებთან მოუწია შეჭიდება და მხოლოდ „შევარდენთან" კინკილა გამარჯვებით იწონებს თავს.

მოგების გაორებას სალდათები სტუდენტების დამარცხებით გეგმავენ, ამისათვის კი ისინი გვარიანად უნდა გაისარჯონ, რადგან თორთლაძე-უძილაურის დუეტის შეჩერება ნებისმიერი გუნდისგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. დაცვაში კარგ თამაშთან ერთად არმიელებმა შეტევებშიც უნდა ივარგონ. აქ, ალბათ, აქცენტს დავით აკოლაშვილზე გაამახვილებენ, რომელიც მწვრთნელმა ზაზა ცაგარეიშვილმა სწორედ საამმატჩოდ დაზოგა გასულ ტურში.

ობიექტურად, სდასუელთა სიძლიერე უფრო თვალშისაცემია, გუნდი მეტად გამოცდილია და შემსრულებლებიც უკეთესი ჰყავს. ასე რომ, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სამმატჩიანი დანავსული სერია უნდა შეწყვიტონ.

**დიმიტრი ნიშნიანიძე**

### სტუ — შევარდენი

ალბათ, ამ შეხვედრაში სტუდენტობა იოლ გამარჯვებას გეგმავს. ამის საფუძველს მათ მეტოქის შესაძლებლობანი აძლევს. „შევარდენი" ხომ ის გუნდი არაა, მეორეადგილოსნებს მოგება ხელიდან წაჰგლიჯოს.

აბ, ერთი თავით დაბალთ სად შეუძლიათ, სტუ-ს ცენტრებთან გამკლავება, ეს წინახაზელნი მარცლაც ხომ აიკლებენ შევარდენელთა ზონურ დაცვას. შედარებით იმედიანად უკანა ხაზი გამოიყურება, კაზანჯიანს, მაჭავარიანს და გაგნიძეს ზუსტი სამიანები კი ეხერხებათ, მაგრამ მათ გაუვნებელყოფას მოწინააღმდეგენი პერსონალური დაცვით შეეცდებიან და. გრძელი სათადარიგო სკამის მიხედვით სტუდენტების უპირატესობა აქაც შესამჩნევად გვეჩვენება.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „შევარდენი" ერთიორად დასუსტებულია. წასულნი ნუცუბიძე და აკოლაშვილი გუნდისთვის მართლაც რომ დიდ ძალას წარმოადგენდნენ. მათ გარეშე კი მეორე წრეში ჯერ ერთი მატჩიც არ მოუგიათ. ერთი ეგაა, როგორც სჩვევიათ, ახლაც ბოლომდე იბრძოლებენ, მაგრამ წაგებისთვის წინასწარ განწირულთათვის ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია.

რაც შეეხება სტუ-ს, აუტსაიდერთან შეხვედრას კომბინაციური და გუნდური თამაშის უკეთ დასახვეწად გამოიყენებს. თანაც ჯერ კიდევ ძირითადი ხუთეულის ძიებაში მყოფი სტუდენტთა თავკაცობა სპორტსმენებზე უკეთ დაკვირვების შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

ამიტომაც ვფიქრობთ, რომ სტუ „შევარდენის" შეხვედრა მოსაწყენი იქნება და მატჩის სანახავად მოსულ მაყურებელს დიდ შთაბეჭდილებას ვერ შეუქმნის, რაკი შედარებით ძლიერი და ტანმაღალი მოთამაშეებით დაკომპლექტებული სტუ-ს უპირატესობა ეჭვს არ იწვევს, დამარცხებებით ხასიათწამხდარ „შევარდენს" გუნების გამოკეთება არც ამ მატჩში უწერია.

**აჩიკო გელაშვილი**

### კოლხა — მაკაბი

ალბათ, გახსოვთ ამ კლუბების პირველი წრის შეხვედრა. მაშინაც და ახლაც ეს გუნდები სატურნირო ცხრილის ბოლოში მეზობლობენ. იმ მატჩში გამარჯვება „კოლხას" დარჩა. სოხუმელი სტუდენტები მხოლოდ ქულით უსწრებენ „მაკაბის", რომელსაც თავის მხრივ რევანშის წყურვილი ჰკლავს.

ასე რომ, აუტსაიდერთა შეხვედრა ინტერესმოკლებული არ იქნება. მას არც სიმწვავე მოაკლდება, რადგან მეტოქეები ერთმანეთს არ დაინდობენ. განსაკუთრებით საინტერესო იქნება ცენტრთა დუელი. ვინ ვის გადასწონის — დავით უგრეხელიძე თუ ალექსანდრე ფერიაშვილი. პირველად მეტოქეობისას კოლხთა „ბაჯბაჯამ" გამოცდილ მოწინააღმდეგეს არაფერი დაუთმო. საყურადღებოა მოგვარე გათამაშებელთა პაექრობაც — სოხუმელი ბერიშვილი იმარჯვებს, თუ მაკაბელი. თუ ირაკლის ტყუპისცალიც წაეხმარა (დათო ტრავმირებულია და მოედანზე ჯერ არ გამოჩენილა), უპირატესობა ძმებს დარჩებათ.

ასევე ბევრია დამოკიდებული თავდამსხმელთა თამაშზეც. კოლხები, ქვილითაია და კეიდია საკმაოდ შეხმატკბილებული წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებენ. საწინააღმდეგო მხრიდან კი ტალაბაძე შეეცდება მეტოქის დაწიოკებას, რომელსაც შესაძლოა ბოლო ხანს გაუჩინარებულმა ანდღულაძემაც შეაწიოს ხელი.

მატჩის წინასწარ პროგნოზირება უაღრესად რთულია, რადგანაც მოგება თითოეულ მათგანს შეუძლია.

**მამუკა ტულუში**



# ნეტავი დავიგვიანოთ

არავინ იცის წლეულს საქართველოს ნაკრებს საერთაშორისო სარბიელზე რამდენი მატჩის ჩატარება მოუწევს. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ბორჯღალოსნები 6 და 28 მარტს ტონგელებს დაუპირისპირდებიან. მერე კი...

ნაკრების თამაშების გაურკვეველმა განრიგმა რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის შედგენაში პრობლემები შეუქმნა. თუმცა არანაკლებ თავსატეხს კავშირის მესვეურთ პირველობაში მონაწილე კლუბების თავკაცები უჩენენ. საქმე ისაა, რომ ჩვენს შეჭირვებულ ყოფაში არავინ იცის, ჩემპიონატში რამდენი კლუბი მიიღებს მონაწილეობას. კავშირს ჩემპიონატის დაწყება აპრილის პირველ ნახევარში აქვს ნავარაუდევი და ფორმალური მხარეების მოსაგვარებლად კლუბებს ბოლო ვადად 20 მარტი დაუთქვა. რომელი გუნდიც ამ დროში ვერ ჩაეტევა, ჩემპიონატზე არ დაიშვება. ჯერჯერობით პირველობაში მონაწილეობის სურვილი ცხრა კლუბმა გამოთქვა — „ყოჩებმა", „დათვებმა", ასკ-მ, „გუმარმა", თსუ-მ, „დინამომ", „აიამ" და „ექსპრესმა". აღსანიშნავია, რომ „ექსპრესი" ამ ჩემპიონატში ორი გუნდით იასპარეზებს. სისტემას რაც შეეხება, პირველობა სამ ეტაპად გაიმართება. პირველ ეტაპზე ეს ცხრა გუნდი ორწრედ გაეჯიბრება ერთმანეთს, ოთხი საუკეთესო მეორე ეტაპზე ოთხწრედ ითამაშებს ერთმანეთში, მაჩანჩალა ხუთეული კი ერთ საუკეთესოს გამოავლენს, რომელიც მესამე ეტაპზე საუკეთესო ოთხეულს დაემატება და ხუთეული გააგრძელებს ბრძოლას პირველობისთვის. ყველაფერი ეს კი ნოემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს, მაგრამ თუ ღმერთმა ინება და საქართველოს რაგბის ნაკრებმა მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე ასპარეზობა შეძლო, პირველობის დამთავრება, ალბათ, დაგვიანდება.

# სულ ჯონას ბრალია



ჯონა ლომუ

სარბიელის არქივიდან

ზელანდიელმა მთაკაცმა ორი დღის წინ კვლავ შეახსენა თავი სარაგბო სამყაროს. ზე-12-ის დაწყებამდე პირველობის მონაწილენი ერთმანეთს ამხანაგურად ეჯიბრებიან. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას ზელანდიელ „ბელადებსა" და ავსტრალიურ „ბრამბიზს" შორის, ბელადმა ჯონა ლომუმ მეტოქე ბენ დარვინს ხელი მოსტეხა. თან ისე, რომ მობურთალს ზე-12-ის წლევანდელ გათამაშებას გამოატოვებინებს. ავსტრალიელი ლომუს შებოჭვას ლამობდა, მაგრამ აქედან კარგი არაფერი გამოუვიდა. „ყველაფერი რაც მოხდა მისი ბრალია. მან წესების დარღვევით ითამაშა და ხელი ამადაც მოვიტეხე — ბრალი დასდო დარვინმა ჯონას — მაგრამ მსაჯმა რატომღაც ამ ფაქტზე თვალი დახუჭა". მსაჯის ასეთი მოქმედება მან ჯონას პოპულარობით ახსნა. აქაოდა, მას სხვებთან შედარებით მეტი უფლებები აქვს მოედანზეო. თავად ვარსკვლავი კი უზომოდ წუხს მომხდარის გამო და აცხადებს, რომ დაზარალებულს ყოველმხრივ დაეხმარება. თუმცა კი არ დაუზუსტებია, რა სახის დახმარებას გულისხმობდა. თავად მატჩი ფრედ — 29:29 დასრულდა და რომ არა ლომუ, „ბელადები" დამარცხდებოდნენ. „მას ისეთი რამეების გაკეთება შეუძლია, რაც მხოლოდ უმაღლესი კლასის მობურთალს ძალუძს" — განაცხადა მწვრთნელმა როს კუპერმა, რომელიც იმედოვნებს, რომ ჯონას დახმარებით „ბელადები" წლევანდელ ზე-12-ზე დიდ წარმატებას მიაღწევენ.

# რა ვუყო, რომ შავი ვარ...

ხუთი წლის წინ სამხრეთაფრიკელ „ქურციკთა" შორის წარმოუდგენელი იყო შავკანიან მობურთალთა ხილვა. მაგრამ ეს მაშინ, ხუთი წლის წინ, როცა იქ აპარტეიდი მეფობდა. ქვეყანა რეჟიმისაგან გათავისუფლდა თუ არა, მათ თანდათანობით მოიკიდეს ფეხი სხვადასხვა კლუბში, თუმცა ეს უფრო პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, ვიდრე სპორტულს. ამას წინა კვირას მომხდარი ფაქტიც ადასტურებს: გასულ ხუთშაბათს ზე-12-ში მონაწილე სამხრეთაფრიკულმა კლუბებმა იმ მოთამაშეთა ვინაობა გამოაცხადეს, რომლებიც წლევანდელ გათამაშებაში იასპარეზებენ და მათ შორის თორმეტი ზანგი მოხვდა. თითქოს ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ... ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტის სილას ნკანუნუს განცხადებით, იგი შეხვდა ზე-12-ში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელთ და სთხოვა, შემადგენლობაში რამდენიმე შავკანიანი აეყვანათ, თუმცა იქვე დასძინა, რომ ეს მხოლოდ თხოვნა იყო და არა მოთხოვნა. იღეს თუ არა ყურად პრეზიდენტის თხოვნა კლუბების მესვეურებმა, კარგად ჩანს — თითოეულ გუნდში 3 ასეთი მობურთალი მოხვდა. „ჩვენ წინააღმდეგი ვართ, რომ რაგბი მხოლოდ თეთრკანიანებმა ითამაშონ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყანაში ბევრი ნიჭიერი ზანგი მორაგბეა, რომელთაც უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლიათ". მას ეთანხმება რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი რაიან ობერჰოლცერიც, რომელიც უარყოფს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შავკანიანები გუნდში არა იმდენად სპორტული, რამდენადაც პოლიტიკური თვალსაზრისით მოხვდნენ. „ისინი გუნდებში იმიტომ აიყვანეს, რომ ქარის თასზე ასპარეზობისას მწვრთნელებს თავი მოაწონეს". თუმცა აფრიკული რაგბის მამების ასეთი განცხადებების მიუხედავად, სპეციალისტები შიშობენ, სპორტში პოლიტიკის ჩარევა გუნდების თამაშის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედებს, რაც თავისთავად დააკნინებს ქვეყნის პრესტიჟს სარაგბო სამყაროში. არადა, ასეთ მობურთალთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. თუ შარშან ზე-12-ში მონაწილე ოთხივე აფრიკულ გუნდში ერთად სულ ორი ზანგი მორაგბე იყო, წლეულს უკვე თითო გუნდში 3 შავკანიანია. აქედან გამომდინარე, საფრთხე ემუქრება ნაკრებსაც, რომელშიც ზე-12-ში მონაწილე მობურთალებს იწვევენ. ნკანუნუს განცხადებით, კლუბებში არათეთრკანიანთა მიწვევა მათი ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრის წინაპირობაა, თუმცა „ქურციკთა" მწვრთნელ ნიკ მალეტს ასეთი პერსპექტივა ნამდვილად არ ხიბლავს: „არაფრით დავუშვებ, რომ ნაკრების ინტერესებზე მაღლა სხვა რამ დავაყენო. „ქურციკთა" ღირსება პოლიტიკოსების გამო არ უნდა შეილახოს. გუნდში მხოლოდ ის მობურთალები მოხვდებიან, რომლებიც ამის ღირსი იქნებიან. დღესდღეობით კი თეთრკანიანები ბევრად უკეთ ბურთაობენ, ვიდრე ზანგები და ამ რეალობას ვერსად გავექცევით".

**პაატა თოთაძე**

# ლანძღვა-გინება და სასჯელი

სან ხოსე. აშშ. SYBASE OPEN.
ჰარდი, დარბაზი.
საპრიზო 350 ათასი $

სან ხოსეს ტურნირზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენგან განსხვავებით, „იქ“ კანონზე მაღლა მხოლოდ სტივენ სიგალი დგას: აგერ, ჩოგბურთის სუპერვარსკვლავ ანდრე აგასიხაც წესების დარღვევისთვის პატარა ბავშვივით კუთხისკენ მიუთითეს.

„ნაიკის“ ხოტორა სიმბოლო აქამდე მხოლოდ საუნივერსიტეტო სარბიელზე თავგამოჩენილ ვინმე სესილ მემიტს ერკინებოდა მეორე წრეში და კარგა ხანს საქმეები მშვენივრადაც მისდიოდა, პირველი სეტის მშრალად მოგების შემდეგ მეორეში 4:2-ით დაწინაურებას თუ გავითვალისწინებთ. მაგრამ საქმის რაც შეიძლება სწრაფად დასრულების მსურველ ანდრეს შეცდომები მოუმრავლდა, ჯერ საკუთარი მოწოდება დაკარგა, მერე ტაი-ბრეიკსაც ველარ ასცდა და სწორედ აქ ჩაიგდო თავი ხათაბალაში.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ გადამწყვეტ გეიმში პირველი ოთხი ქულის წაგებით გაცეცხლებულმა აგასიმ საკუთარ თავს ხმამაღლა შეუკურთხა. ამის გამგონე ინტრიგანმა გვერდითა მსაჯმა ალ კლასენმაც არ დააყოვნა, ეს ამბავი სასწრაფოდ თავის უფროს კოლეგას მოახსენა და ჩოგბურთელი გააფრთხილეს.

კლასენი თავის ადგილს რომ დაუბრუნდა, ერთხელაც შეიკურთხა აგასიმ ხმამაღლა. გვერდითა მსაჯმაც ისევ მთავართან მიირბინა და ამჯერად სტივ ულრიხმა ჩოგბურთელი ერთი ქულით დააჯარიმა.

თავშეკავებული კაცი ახლა მაინც ჩაჩუმდებოდა, რადგან ჩოგბურთის „ქცევის კოდექსი“ „სასტიკ გაფრთხილებას საყვედურით“ არ სცნობს და მესამე შენიშვნაზე დამრღვევს გუდა-ნაბადს აკვრევინებს-ხოლმე, მაგრამ აგასის ჭკუა აღარ ეკითხებოდა. ამჯერად დანიშნულების ადგილზე დაბრუნებულ კლასენს მეტყველი f..k პირადად ერგო (თუმცა თავად ჩოგბურთელი ამას უარყოფს), ამასაც მეტი რა უნდოდა, მთავარ მსაჯთან კიდევ ერთხელ მიირბინა, ამან ტურნირის ზედამხედველს უხმო და ხანმოკლე თათბირის შემდეგ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს და SYBASE OPEN-ის ოთხგზის გამარჯვებულს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს „გასაგონი უხამსობებისთვის“.

— შოკირებული ვარ. ჯერ ერთი, როდესაც ვიგინებოდი, პირზე ხელი მქონდა აფარებული, რომ არავის გაეგონა, მეორეც მსაჯისთვის არც შემიხედავს და არც სიტყვა „შენ“ მიხსენებია, რომ თავის თავზე მიეღო. ათასი წელი ვერ ვიფიქრებდი, რომ ეს ასეთ შედეგს მოიტანდა — განაწყენებული და დაბნეული ჩანდა მატჩის შემდეგ ანდრე — რა თქმა უნდა, კარგად არც მე მოვქცეულვარ, მაგრამ ვფიქრობ, მსაჯებმაც არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს. პირადად მე არაერთხელ უფრო დიდ უსიამოვნებებშიც გავრეულვარ, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

აქ კი აგასი აშკარად ცდება: 1996 წელს სწორედ მსაჯის შეგინებისთვის იგი ინდიანაპოლისის RCA-ის პირველობიდანაც გააგდეს.



ანდრე აგასი

სარბიელის არქივიდან

მომხდარმა გაწბილებულ მაყურებელში, კოლეგებსა თუ ტურნირის ორგანიზატორებში სხვადასხვა რეაქცია გამოიწვია.

— ძალიან საწყენია, რომ ყველაფერი ასე მოხდა. ვწუხვარ ორივე ჩოგბურთელის, ანდრეს გამო, ვწუხვარ მსაჯების, მაყურებლების გამოც, რომლებიც ამის სანახავად სულაც არ მოსულან. მაგრამ წესი წესია და ჩვენ ეს უნდა გაგვეკეთებინა — განაცხადა ATP ტურის ზედამხედველმა ტომ ბარნსმა.

— მან იცის წესები. მხოლოდ იმიტომ, რომ ის ანდრეა, არავინ არაფერს აპატიებს. მან გაკვეთილი მიიღო, ტურნირში აღარ მონაწილეობს. პროფესიონალი თუ ხარ, შესაბამისად უნდა იქცეოდე. საჭირო მომენტში თავის შეკავებაც უნდა შეგეძლოს — დაგმო თავის დიდი ხნის მეტოქის საქციელი ყოველთვის და ყველგან წესიერმა პიტ სამპრასმა.

მომხდარით ყველაზე დაზარალებული კი ტურნირის დირექტორი ბარი მაკკი დარჩა. მას მაყურებლების მთავარი სატყუარა წაართვეს, რომელსაც სან ხოსეში თამაშისთვის, როგორც ამბობენ, 200 ათასი დოლარი წინასწარ ერგო.

— დარწმუნებული იყავით, რომ ჩემი კოლეგების შეხვედრაზე მომდევნო თვეში ამ წესის შეცვლას მოვითხოვ და მათი უმეტესობაც დამეთანხმება.

მაკკის მხარი ჩოგბურთელთა ასოციაციის წარმომადგენელმა უელერ ევანსმაც აუბა:

— სავსებით შესაძლებელია, რომ ATP-მ, WTA-მ და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უახლოეს ხანებში განიხილოს ეს საკითხი და სასჯელთა შემსუბუქებასაც მიაღწიოს. ამაში ყველა იქნება დაინტერესებული. სანახაობის უდროოდ შეწყვეტით ბევრია შეწუხებული. მაგალითად, ფელიქს მანტიაც გამოდგება, რომელიც 1997-ში მიუნხენის ტურნირიდან წყლის ბოთლზე ფეხის დარტყმისთვის მოკვეთეს.

მეორე წრე: **პიტ სამპრასი** (1, აშშ) — მარტინ როდრიგესი (არგენტინა) 7:5, 6:3; **მარკ ფილიპუსისი** (3, ავსტრალია) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:2, 6:1; **მაიკლ ჩანგი** (4, აშშ) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:4, 7:6 (7:5);

დუბაის ღია პირველობა.
საამიროები.
ჰარდი. საპრიზო 1,2 მილიონი $

მეორე წრე: **კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — ტომას მუსტერი (ავსტრია) 6:4, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (3, ინგლისი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 7:6 (9:7); **ჟერომ გოლმარი** (საფრანგეთი) — კაროლ კუჩერა (5, სლოვაკეთი) 7:6 (8:6), 6:1; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — ალბერტ კოსტა (6, ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:3); **ფელიქს მანტია** (7, ესპანეთი) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 7:6 (7:1), 6:3; **ფრანსისკო კლავეტი** (ესპანეთი) — გრეგ რუზეცკი (4, ინგლისი) 3:6; 7:5; 6:2.

ავთანდილ სვანიძე



## ჯორდან გრან პრი



დეიმონ ჰილი
დიდი ბრიტანეთი
დაიბადა 1960 წლის 17 სექტემბერს ლონდონში
ცხოვრობს დუბლინში
ჰყავს მეუღლე და 4 შვილი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1992, ბრიტანეთის დიდი პრიზი („ბრებჰემი)
100 რბოლა, 22 გამარჯვება, 20 პოული, 19 სწრაფი წრე, 353 ქულა
1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონი

გუნდის შეფი ედი ჯორდანი
ტექნიკური დირექტორი მაიკ გესქოინი
შასი ჯორდან 199
ძრავა მუგენ-ჰონდა **MF 301 HD, V-10**
საბურავები „ბრიჯსტოუნი“
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, აშშ-ის დიდი პრიზი
130 რბოლა, 1 გამარჯვება, 1 პოული, 2 სწრაფი წრე, 155 ქულა



ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი
გერმანია
დაიბადა 1967 წლის 18 მაისს მიუნხენში
ცხოვრობს მონაკოში უცოლო
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, ბრაზილიის დიდი პრიზი („ზაუბერი“)
81 რბოლა, 1 გამარჯვება, 1 პოული, 6 სწრაფი წრე, 88 ქულა




„ჯორდანის“ ახალი ბოლიდი და ახალი გუნდი — ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი და დეიმონ ჰილი

სარბიელის არქივიდან

# საჯინიბო კრაზანის იმედზეა

*ირლანდიელთა გუნდი წლეულს კრაზანის გამოსახულებით დამშვენებული ყვითელი ბოლიდით იასპარეზებს. ამ მწერმა შარშან პირველი წარმატება მოუტანა საჯინიბოს და წლეულსაც მისი იმედი აქვთ.*

ახალი ბოლიდი შარშანდლის ევოლუციას წარმოადგენს. სრულიად ახალია გადაცემათა კოლოფი, შეცვლილია საწვავის ავზის მდებარეობა. ახალია ძრავაც, რომელიც ახლებურად მაგრდება შასიზე. გამოიცვალა მართვის სისტემა, აეროდინამიკა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ცალკეული დეტალების დახვეწას. გაიდაინიჯა ის საბაზო პარამეტრები, რომლებიც ბოლიდს უფრო სწრაფად მოძრაობის საშუალებას მისცემს. მოდელი საფუძვლიანად შემოწმდა ეროდინამიკურ გვირაბში. ავტომობილი უფრო მომრგვალებული ჩანს და, რაც მთავარია, არაფრით წააგავს შარშანდელ საუკეთესო ბოლიდს — „მაკლარენს“, ყოველივე ეს კი ახალი კონსტრუქტორის მაიკ გესქონის დამსახურება გახლავთ.

გუნდს არასდროს ყოლია ასეთი ძლიერი შემადგენლობა, ორი ტოპ-პილოტი — დეიმონ ჰილი და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი საუკეთესო ტესტ-პილოტად ითვლება და ეს ბოლიდის უკეთ გამართვის და სეზონის განმავლობაში გაუმჯობესების ერთ-ერთი საწინდარია. ჰილმა შარშან პირველი გამარჯვება მოუტანა ირლანდიელებს და წლეულსაც არ აპირებს სხვების კუდში დევნას. „მინდა, წლეულს ერთზე მეტი რბოლა მოვიგო და საამისოდ ყოველგვარ შანსს გამოვიყენებ. ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ, მაგრამ მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი ახალი მოდელის მიმართ. შარშან შუა სეზონიდან შევძელით მანქანის გაუმჯობესება. წლეულს კი ალბათ მეტს შევძლებთ“

— განუცხადა ჟურნალისტებს დეიმონმა.

გუნდის მეორე პილოტი ფრენცენი ედი ჯორდანმა დამსწრეთ ასე წარუდგინა: „შარშან ჩვენ დეიმონ ჰილი მოვიწვიეთ, რომლის გამოცდილებაც აშკარად აკლდა „ჯორდანის“ ორგანიზმს. რბოლებში გამარჯვების გამოცდილების ფაქტორი წლეულს უფრო გავაძლიერეთ, როდესაც ჰაინც-ჰარალდი მოვიწვიეთ. ადრე იგი ჩვენს გუნდში F-3000-ში ასპარეზობდა და გარკვეული წვლილიც მიგვიძღვის მის ფორმულა 1-ში მოხვედრაში. მოხარული ვარ, რომ იგი დაგვიბრუნდა“.

თვით გერმანელი კი, აი, რას ამბობს: „სამი წელი „ზაუბერში“ და ორიც „უილიამსში“ ჩემთვის საუკეთესო იყო. ვფიქრობ, ასევე იქნება „ჯორდანშიც“. მჯერა, რომ შემიძლია კარგი შედეგების მიღწევა. ყოველთვის ამბობდნენ, რომ „ჯორდანში“ მეგობრული ატმოსფეროა, ახლა ამას თავად ვგრძნობ. ძალიან მეხმარება ისიც, რომ ბევრი მექანიკოსს ვიცნობ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ფორმულა 3000-ში გამოვდიოდი“.

გუნდი პირველ ტესტებს უკვე შეუდგა და ბარსელონაში დეიმონ ჰილმა მესამე, იმედისმომცემი დრო აჩვენა. იგი მხოლოდ მაკლარენებს ჩამორჩა.

ასე რომ, ირლანდიელებმა, როგორც ჩანს, მართლაც კარგი ბოლიდი შექმნეს. წლეულს ჩემპიონატში კონკურენცია შარშანდელზე მძაფრი იქნება, ეს კი გამარჯვების მოპოვებას ერთიორად გაართულებს, ირლანდიული „კრაზანა“ ალბათ ბევრს გაამწარებს მოულოდნელი „ჩხვლეტებით“.

ალეკო ტაბუკიანი

# მფრინავებს ჰაერში ჩაექინათ

11 თებერვალი

**პიტსბურგი — ვანკუვერი 6:5**

1:2 2:2 2:1 1:0

0:1 ბრაშირი 11'41 (6); 0:2 ოკუანი 15'21 (13); 1:2 ბარნსი 19'39 (17); 2:2 სტრაკა 24'17 (24); 2:3 ნესლუნდი 26'14 (28); 2:4 ნესლუნდი 30'19 (29); 3:4 ჰეჩერი 37'55 (10); 4:4 მილერი 40'36 (11); 5:4 იაგრი 42'10 (25); 5:5 ბერტუცი 52'09 (7); 6:5 იაგრი 61'21 (26)

1999 წელს ნჰლ-ში რომელ ტრიოს გააქვს ყველაზე მეტი გოლი? ნამდვილად ვერ გამოიცნობთ. ესენი არიან პიტსბურგელი ლიგის დებიუტანტები: ჩეხი იან ჰრდინა, მთელი კარიერის განმავლობაში მესამე-მეოთხე სამეულებში მოთამაშე კიპ მილერი და ცხადია, იარომირ იაგრი! ახალშეამხანაგებულმა კომპანიამ ზედიზედ მოგებულ 8 მატჩში ისეთი დღე აყარა მოწინააღმდეგეებს, რომ მათ გასანეიტრალებლად გამოყოფილ საუკეთესო ჰოკეისტებს თითიც არ გაანძრევინა. ამჯერადაც სტუმრებმა, რომლებსაც უკან დასახევი გზა აღარ დარჩენოდათ, თითქოსდა ყველაფერი გააკეთეს, 4:2-საც იგებდნენ, მაგრამ მერე ოდნავ მოადუნეს ყურადღება და იაგრისა (2+1) და მისი პარტნიორების მიერ დაისაჯნენ კიდეც. სუპერჩეხმა, ოვერტაიმში მილერისგან (1+2) პასი მიიღო თუ არა, მცველი მოატყუა, ელვისებური დარტყმით გააოგნა მეკარე გარტ სნოუ და პირველმა ლიგაში 80-ქულიან ზღვარს მიაღწია. „როგორ შეიძლებოდა იაგრისთვის ასეთი შანსის მიცემა“ — წუხდა მატჩის შემდეგ სტუმართა გოლკიპერი.

**ბუფალო — მონრეალი 5:2**

3:0 2:1 0:1

1:0 კრუზი 2'57 (1); 2:0 ჰოლცინგერი 7'55 (16); 3:0 უილსონი 18'48 (1); 4:0 შატანი 25'53 (22); 5:0 კანიუორტი 28'35 (1); 5:1 კოივუ 37'28 (8); 5:2 დამფუსი 42'29 (10)

ხუთმატჩიანი უიღბლო სერიის შესაწყვეტად მასპინძლებს სამი ისეთი მოთამაშის თავგამოდება დასჭირდათ, რომელთაც მანამდე ერთი გოლიც არ გაეტანათ. აქედან პოლ კრუზი 1998 წლის 29 მარტის მერე იყო მშრალზე, მაიკ უილსონი კი 7 თებერვლიდან.

**ოტავა — ფლორიდა 1:3**

1:2 0:1 0:0

1:0 ჰოსა 7'39 (6); 1:1 შვეჰლა 8'56 (6); 1:2 უორელი 13'45 (2); 1:3 კოზლოვი 21'03 (9)

ოტავას მწვრთნელი ჟაკ მარტენი მატჩის შემდეგ ფილოსოფოსობდა: „ჩვენთვის ეს კარგი გაკვეთილია. პლეიოფში გასვლისთვის მებრძოლ გუნდს მაშინაც უნდა უფრთხილდე, როცა საუკეთესო მოთამაშე აკლია (სტუმართა შორის კვლავ არ იყო პაველ ბურე)“. აღსანიშნავია, რომ ფლორიდელთა გიგანტ ზანგს პიტერ უორელს ზედიზედ მეორე მატჩში გააქვს შაიბა.

**დეტროიტი — ედმონტონი 4:2**

0:0 2:1 2:1

1:0 კოზლოვი 29'53 (13); 1:1 უეიტი 30'46 (2); 2:1 ფიოდოროვი 33'00 (14); 3:1 აიზერმანი 40'42 (21); 3:2 ფალუნი 45'48 (14)

ვიაჩესლავ კოზლოვმა და სერგეი ფიოდოროვმა 2-2 ქულა მიითვალეს.

**ლოს ანჯელესი — ფილადელფია 4:3**

0:2 1:0 3:1

0:1 ტერიენი 9'45 (3); 0:2 ჯოუნსი 19'12 (14); 1:2 როზა 35'05 (4); 1:3 ლინდროსი 47'53 (32); 2:3 მოგერი 56'52 (3); 3:3 ოდეტი 58'12 (9); 4:3 შტუმპელი 59'59 (9)

იოზეფ შტუმპელმა გადამწყვეტი გოლი მატჩის დამთავრებამდე 0,3 წამით ადრე გაიტანა, თუმც სტუმარ „მფრინავებზე“ ახია — ასეთი დონის გუნდმა სამ წუთში არ უნდა გაუშვას ხელიდან ორშაიბიანი უპირატესობა. „მეფეთა“ გმირობას ლუკ რობიტაილმა (სამივე შაიბაში დაიდო წილი) ჩაუყარა საფუძველი.

**სენტ ლუისი — სან ხოსე 1:5**

0:2 1:2 0:1

0:1 კოროლიუკი 8'28 (4); 0:2 რატიე 18'43 (4); 0:3 კოროლიუკი 20'20 (5); 1:3 მაკინისი 30'19 (15); 1:4 ფრიზენი 31'00 (16); 1:5 ლოური 58'32 (6)

კალგარელი ტეო ფლერივით ჩია სანხოსელი ალექსანდრ კოროლიუკი ნელ-ნელა იმსახურებს ათლეტური ალნაგობის მოყვარე მწვრთნელ ბრაიან სატერის ნდობას.



ვის დარჩება შაიბა? დეტროიტელი ანდერს ერიკსონი (მარცხნივ) და ედმონტონელი მაიკ გრირი

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 52 | 28 | 8 | 16 | 150:114 | 64 |
| ტორონტო | 52 | 30 | 3 | 19 | 170:155 | 63 |
| ბუფალო | 52 | 25 | 9 | 18 | 141:111 | 59 |
| ბოსტონი | 52 | 22 | 9 | 21 | 132:120 | 53 |
| მონრეალი | 55 | 20 | 8 | 27 | 124:147 | 48 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 53 | 24 | 9 | 20 | 138:134 | 57 |
| ფლორიდა | 52 | 20 | 13 | 19 | 132:138 | 53 |
| ვაშინგტონი | 51 | 21 | 4 | 26 | 129:133 | 46 |
| ტამპა | 52 | 11 | 4 | 37 | 106:189 | 26 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 52 | 28 | 12 | 12 | 166:109 | 68 |
| ნიუ ჯერსი | 52 | 29 | 6 | 17 | 150:131 | 64 |
| პიტსბურგი | 50 | 28 | 7 | 15 | 160:134 | 63 |
| რეინჯერსი | 51 | 20 | 7 | 24 | 137:140 | 47 |
| აილენდერსი | 53 | 16 | 5 | 32 | 126:164 | 37 |

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 54 | 27 | 4 | 23 | 159:138 | 58 |
| სენტ ლუისი | 51 | 21 | 9 | 21 | 139:136 | 51 |
| ნეშვილი | 52 | 18 | 5 | 29 | 119:167 | 41 |
| ჩიკაგო | 53 | 14 | 8 | 31 | 114:169 | 36 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 48 | 30 | 8 | 10 | 141:99 | 68 |
| ფინიქსი | 51 | 28 | 10 | 13 | 136:109 | 66 |
| ანაჰაიმი | 52 | 21 | 9 | 22 | 135:129 | 51 |
| სან ხოსე | 53 | 19 | 12 | 22 | 124:123 | 50 |
| ლოს ანჯელესი | 53 | 20 | 4 | 29 | 126:143 | 44 |

| ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 53 | 29 | 4 | 20 | 144:126 | 62 |
| ედმონტონი | 52 | 20 | 8 | 24 | 142:136 | 48 |
| კალგარი | 54 | 18 | 8 | 28 | 133:158 | 44 |
| ვანკუვერი | 53 | 17 | 7 | 29 | 137:164 | 41 |

**თუ** დრაფტი ჯერ კიდევ შორეული მომავალია, „დედლაინამდე“, ანუ მოთამაშეთა გაცვლა-გამოცვლის ბოლო დღემდე ერთ თვეზე ოდნავ მეტიღა დარჩა. როგორც ვარაუდობენ, ამ დრაფტზე ყველაზე თვალსაჩინო ფიგურები კალგარელი ტეო ფლერი და ტამპელი უენდელ კლარკი იქნებიან. ფლერით, რომელსაც მეტსახელად „Mighty mouse“ (მძლავრი თაგვი) შეარქვეს, თითქმის ნახევარი ლიგაა დაინტერესებული და არცთუ დიდი ბიუჯეტის მქონე მის გუნდს, ალბათ, ძალიან გაუჭირდება ახალი კონტრაქტისთვის თანხის გამოძებნა. კლარკს კი დალასში ელიან დაჟინებით, რადგან ჩემპიონატის ლიდერი მარცხენა გარემარბების ნაკლებობას განიცდის.

* * *

**მომავალი** დრაფტი, ალბათ, კვლავ ევროპელთა ჰეგემონიას დაადასტურებს. ყოველ შემთხვევაში, ცენტრალური სასკაუტო ბიუროს განცხადების თანახმად და სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, პირველ ნომრად ჩეხ პატრიკ სტეფანს აირჩევენ. 18 წლის ფორვარდი უკვე მეორე სეზონია, იჰლ-ის გუნდ „აის დოგში“ თამაშობს და 20 მატჩში 23 (9+14) ქულა დააგროვა. სხვა კანდიდატთა შორის ასახელებენ: სტეფანის თვისტომ პაველ ბრენდლს, რუს დენის შვიდკის და ონტარიოს ლიგაში მოთამაშე ტიმ კონოლის.

* * *

**გასულ** დღეებში ჰოკეისტებმა დიდი მოსავალი მოიმკეს: ანაჰაიმელმა ფრედრიკ ოლაუსონმა 500 ქულა დააგროვა, ფილადელფიელმა ერიკ ლინდროსმა — 250 გოლი, მისმა თანაკლუბელმა მიკაელ რენბერგმა და მონრეალელმა მარტინ რუჩინსკიმ — 300-300 ქულა, ხოლო კაროლინელმა გერი რობერტსმა 300 პასი მიითვალა.

ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფი, ცხადია, ასეთი ციფრებით ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ სეზონში გაკეთებული მეხუთე პასით მან საკლუბო რეკორდი გაიმეორა.

**სულ** რაღაც ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ტამპას ახალი მფლობელი ჰყავს — სადაზღვევო მაგნატი არტ უილიამსი. თუმც იგი ტამპელთა დაუსრულებელმა უიღბლობამ ისე გააბეზრა, ლამისაა გუნდი გაყიდოს.

ოთხშაბათს „TAMPA TRIBUNE“-სთვის მიცემულ ინტერვიუში უილიამსმა განაცხადა, რომ თუ უახლოეს ხანში პარტნიორი-თანამფლობელები არ გამოუჩნდებიან, იგი ზაფხულში ტამპას აუცილებლად გაყიდის. თუმც ისიც დასძინა, რომ ამჟამად ორ-სამ ვარიანტზე ფიქრობს და უახლოეს ხანებში ბევრი რამ გაირკვევა. ექსპერტთა აზრით, უილიამსი თავის პირველ სეზონში 20 მილიონ დოლარზე მეტს იზარალებს.

* * *

**ლიგის** დებიუტანტმა ნეშვილმა ახალი ხელშეკრულება გააფორმა თავის საუკეთესო ბომბარდირ კლიფ რონინგთან. ჰოკეისტი ორი წლის განმავლობაში 3,6 მილიონ დოლარს მიიღებს. რონინგი ფინიქსიდან გადავიდა და სეზონი არცთუ კარგად დაიწყო, მაგრამ თანდათან ისე ათამაშდა, „კოიოტებმა“ ინანეს, რატომ გავუშვითო და ხმებიც კი დაირხა, მის დაბრუნებას აპირებენო.

ანაჰაიმის მეკარე გი ებერმა კი სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. წლეულს ჩინებულად მოთამაშე მეკარე (5 შათაუტი და ერთ მატჩში საშუალოდ 2,31 გოლი) ერთადერთია, ვინც კლუბის დაარსებიდანვე იცავს მის ღირსებას.

* * *

**ფინიქსელმა** ჯიმ კამინსმა ჩიკაგოელ ბრედ ბრაუნს იდაყვი სთხლიშა და ხუთმატჩიან დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრა ხელი. მას შემდეგ, რაც სეზონის დასაწყისში ნჰლ-ის სადისციპლინო კომისიამ ლოსანჯელესი მეტ ჯონსონი დასაჯა და 12 შეხვედრა გამოატოვებინა, ეს ყველაზე ხანგრძლივი დისკვალიფიკაციაა.

**სამველ ღარიბიანი**



# კომპანიონი უკომპანიოდ

**ორგზის** ოლიმპიურ ჩემპიონს, იტალიელ სამთომოთხილამურე დებორა კომპანიონის ოქტომბრიდან მოყოლებული ზურგის ტკივილი სტანჯავს და წლევანდელ მსოფლიოს თასზეც თავი ვერაფრით გამოიჩინა. მიუხედავად ამისა, კოლორადოს მსოფლიოს ჩემპიონატზე, გიგანტურ სლალომში მას, ავსტრიელ ანიტა ვახტერთან ერთად გამარჯვების უპირველეს კანდიდატად მიიჩნევდნენ, მით უფრო, რომ კომპანიონი თხილამურობისამ სახეობაში ორჯერ — 1996 და 1997 წლებში ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონი. წარსული დიდებისთვის პატივს კი მიაგებენ ხოლმე, მაგრამ შეჯიბრებისას ოქროს უკეთესი შედეგისთვის გადასცემენ. ვეილში, ქალია გიგანტურ სლალომში კი ყველაზე კარგად ავსტრიელმა ალექსანდრა მაიზნიცერმა (2:08.54) იასპარეზა და სუპერგიგანტში მოპოვებულ ოქროს გიგანტური სლალომის ჩემპიონის ტიტულიც მიუმატა. მეორე ადგილზე ნორვეგიელი ანდრინ ფლემენი (2:08.84) გავიდა, ბრინჯაო ავსტრიელ ანიტა ვახტერს (2:09.13) ერგო. დებორა კომპანიონი კი ამჯერად მხოლოდ მეშვიდე იყო.

ახლა ჩვენებურზე, ნაგანოს ოლიმპიადის მონაწილე სოფიო ახმეტელზეც ვთქვათ. სოფიომ გიგანტურ სლალომში იასპარეზა, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრასა ვერ ჩაამთავრა და ფინალურ ჯგუფს მიღმა დარჩა, თუმცა ფინიშის ხაზი ვერც სახელოვანმა ქალბატონებმა — გერმანელმა ჰილდე გერგმა, სლოვენიელმა ურსკა ჰორვატმა, შვედმა ანია პერსონმა, ხორვატმა იანიკა კოსტელიჩმა და ბევრმა სხვამ ვერ გადაკვეთა. სამაგიეროდ, ფინალში ისრიალა მცხუნვარე იამაიკის წარმომადგენელმა კოლეტ ჯილიანმა. მართალია, თავი ვერაფრით გამოიჩინა და ბოლო ადგილზე გავიდა, მაგრამ იამაიკა და თხილამურები? ეს უკვე საქმეა...

ბოლოს კი ტრავმებზე. სამთოთხილამურობა რისკიანი სპორტია და მთის ფერდობებზე დაშავებულთა ხილვა ახალი ამბავი სულაც არ გახლავთ. კოლორადოს მსოფლიოს ჩემპიონატზეც ბევრი გაუყვა საავადმყოფოს გზას. ქალთა გიგანტურმა სლალომმაც სამი სპორტსმენის ჯანმრთელობა შეიწირა. ირლანდიელ ტემსენ მაკგერსა და ინგლისელ ტეს პირს მუხლები დაუზიანდათ, ავსტრალიელმა ჯანეტ კორტენმა კი ხელი მოიტეხა. ჰოდა, სამივე დაშავებული ახლა კოლორადოს ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს.

### ტიტულები

**ალექსანდრა მაიზნიცერი**

1998 წლის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი გიგანტურ სლალომში და ბრინჯაოს პრიზიორი სუპერგიგანტში.

1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში.

მსოფლიოს თასზე მოგებული ეტაპები 9: სუპერგიგანტი 4; გიგანტური სლალომი 4; სწრაფდაშვება 1

1998-99 წლების მსოფლიოს თასის ლიდერი.

### ქვეყნების მონაგარი

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| ავსტრია | 5 | 3 | 4 |
| ნორვეგია | 2 | 3 | 1 |
| შვედეთი | 1 | - | - |
| საფრანგეთი | - | - | 1 |
| შვეიცარია | - | - | 1 |

**ვეილი. კოლორადო. აშშ. სამთოთხილამურობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. გიგანტური სლალომი. ქალები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ალექსანდრა მაიზნიცერი (ავსტრია) | (1:01.93 1:06.61) | — 2:08.54 |
| 2. | ადრინ ფლემენი (ნორვეგია) | (1:02.27 1:06.57) | — 2:08.84 |
| 3. | ანიტა ვახტერი (ავსტრია) | (1:01.72 1:07.41) | — 2:09.13 |
| 4. | პერნილა ვიბერგი (შვედეთი) | (1:03.34 1:05.93) | — 2:09.27 |
| 5. | მარტინა ერტლი (გერმანია) | (1:02.31 1:07.15) | — 2:09.46 |
| 6. | კორინ რეი ბელეტი (შვეიცარია) | (1:03.37 1:06.15) | — 2:09.52 |
| 7. | დებორა კომპანიონი (იტალია) | (1:02.83 1:07.07) | — 2:09.90 |



ადრინ ფლემენი, ალექსანდრა მაიზნიცერი და ანიტა ვახტერი

# იამაიკელი ცისფერ მთებზე

„მაიზნიცერ, მიფრთხილდი!“ — გაიბადრა კოლეტ ჯილიანი, როდესაც გიგანტური სლალომის ფინიშის ხაზი ზემოხსენებულ გამარჯვებულზე მთელი 63 წამით გვიან გადაკვეთა — „როდესაც ბოლო კარიბჭეც წარმატებით გავიარე, სიცილი დავიწყე. ჩემზე გაცილებით უკეთესებმაც კი ვერ მოახერხეს ტრასის ჩამთავრება. მე შევძელი... ბიჭოს, რა გასაერთება იყო.“

იმ 63 ნაგვიანებ წამს, ფინიშთან თავშეყრილი იამაიკელი ქომაგებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია: 52 მონაწილიდან უკანასკნელ ჯილიანს თავისიანებმა ტრიბუნებთან ოვაციები მოუწყვეს და, ყინვაში, თბილმა სამხრეთულმა კომპანიამაც მოილხინა.

მშობლებისგან მიტოვებულ, ბავშვთა სახლში გაზრდილ ჯილიანს 1980 წელს აშშ-ში გადაბარგებამდე თხილამურები თვალითაც არ ენახა, მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე წელია, სრიალის სიყვარულმა მთაგორიან კოლორადოში ამოაყოფინა თავი. ახლა სპორტი მისი ცხოვრების მიზანს წარმოადგენს და თვალი 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადისკენაც კი უჭირავს.

სხვათა შორის, ჯილიანის გარდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთ იამაიკელსაც იხილავთ — ენდრიუ სალმი ამ უქმეებზე შეუტევს მთიან ტრასებს. „ვიცოდი, რომ მედლის მოსაპოვებლად, ალბათ, 30 კაცის გამოვარდნაც არ მიშველიდა, მაგრამ მე ისედაც ძალიან მიყვარს თხილამურობა. ის ჩემთვის უსასრულოდ მომხიბვლელია“ — მიღწეულითაც კმაყოფილია კოლეტი, რომელიც შაბათს სლალომშიც მიიღებს მონაწილეობას.

**კახა არჯევანიძე**



REUTERS ტორონტოდან

# ჰოკეის კიდობანი დაიხურა

საკმაოდ მოძველებული „MAPLE LEAF GARDEN“ 32 წელიწადი ელოდა, ტორონტოს მოთამაშეებისგან სტენლის თასის მოპოვებისას. ელოდა, მაგრამ ვერ ეღირსა ამ სიხარულს...

ნჰლ-ის ყველაზე ძველი სარბიელი ჯერ კიდევ 1931 წლის მინურულს აშენდა და „ნეკერჩხლის ფოთლების“ არაერთი დიდი გამარჯვების მოწმე გახდა. მერე კი მიილია წარმატებების ეპოქა (40-60-იანი წლები). მომდევნო თაობებმა ვეღარ ასახელეს ქალაქი და მისი „გარდენი“, რომელსაც კანადაში „ჰოკეის კიდობანსაც“ უწოდებდნენ. იგი დღეს, 13 თებერვალს უკანასკნელად ახმაურდება. 20 თებერვალს კი ახალთახალ „AIR CENTRE“-ში ლიგის ერთ-ერთი სახელოვანი კლუბის ახალი ერა დაიწყება. ამასობაში „ნეკერჩხლის ფოთლების“ გულშემატკივრები კვლავ ძველი დროის დიდების სურათებს ათვალიერებენ, ეგებ საყვარელ გუნდს ახალ არენაზე წარმატებები დაებედოსო.

# შენ არხეინად იყავი

ა, მეთქი, ბიჭო! მოემზადე, „ნა პადაჩუ“ უნდა ავწიო რიო დე ჟანეიროს პლაჟზე, ლებლონს რომ ეძახიან, ფეხბურთის ბრაზილიელ ვარსკვლავს, ედმუნდოს გუშინ, ფუტბოლი ჰქონდა გაჩაღებული. ეს ფუტბოლი ფეხით ფრენბურთი გახლავთ. მისი გუნდი, იტალიური „ფიორენტინა“ კი „უდინეზესთან“ თამაშისთვის ემზადება. ძნელი დროება უდგათ ფლორენციელებს. ბატისტუტა დაიმტვრა, ოლივეირა რა ხანია დამტვრეულია. ედმუნდო კი...

მალე რიოში კარნავალიც გაჩაღდება და მერე ნახეთ.



REUTERS რიო დე ჟანეიროდან





REUTERS ლას ვეგასიდან

# შავი და თეთრი ლას ვეგასში გამოჩნდება

დღეს ლას ვეგასში დიდი კრივია. ველტერის წონის დაუმარცხებელი ჩემპიონი, ამერიკელი ოსკარ დე ლა ჰოია, ასევე დაუმარცხებელ განელს, აიკ კორტის შეხვდება.

დე ლა ჰოია, უდავოდ ყველაზე გამორჩეული ფიგურაა დღევანდელ კრივში, 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ექვსი წელიწადია პროფესიულ რინგზეა, ოცდაცხრა ბრძოლა მოუგია და ოთხი სხვადასხვა წონის ჩემპიონადაცაა ნაკურთხი. კორტისთან შებმას დე ლა ჰოია თავის პირველ დიდ საკრივო გამოცდას უწოდებს: „აქამდე რაც მიჩხუბია, სულ ვარჯიში იყო. პირველად ვხვდები ღირსეულ მოწინააღმდეგეს და ამისთვის მზად ვარ“.

დე ლა ჰოიას სერიოზულობას კორტი მედიდურობით პასუხობს: „ეს დღე მისი მეფობის დასასრული იქნება. არ არის ისეთი ძლიერი, როგორადაც სახავენ. ჯერ ხეირიანი არავინ შეხვედრია“.

ბრძოლა მართლაც მძიმე და საინტერესო იქნება. კორტის 39 ბრძოლიდან 24 ნოკაუტით აქვს დამთავრებული, ერთადერთი ფრე გუნებას არ უფუჭებს და დე ლა ჰოიას კუთვნილი საბჭოს (WBC) ქამრის მოპოვებას ლამობს. მისი აზრით, დე ლა ჰოიას დამარცხება ადვილი არ არის, მაგრამ ამერიკელი გადაჩვეულია ნამდვილ კრივს და კორტისნაირი შემტევი კაცი საერთოდ არ შეხვედრია.

„რამდენი ხანია, მუშტი არ მოხვედრია, ვნახოთ რას იზამს“, — იმუქრება განელი, რომელსაც ზუსტი და ცეცხლოვანი დარტყმების გამო „ბაზუკას“ ეძახიან.

„დიდი ბრძოლა მოგველის“, — განმარტავს განათლებული და ზრდილობიანი დე ლა ჰოია — „კორტის სტილი ცნობილია, ჩემიც. ორივეს შეგვიძლია ნოკაუტით მოგება. ისე კი, კორტისთან შეხვედრა ჩემი სურვილი იყო. მომბეზრდა არაფრისმთქმელი ბრძოლები. მე გამოვიწვიე, რათა ნამდვილ ჩხუბში გამერკვია ჩვენი ადგილი კრივში“.

ჩხუბი „ტომას ენდ მაკის“ დარბაზში გაიმართება. ანდერქარდშიც საჩემპიონო ბრძოლაა გამოცხადებული. როჭოს წონის საბჭოს მექსიკელი ჩემპიონი ერიკ მორალესი თავის ტიტულს პუერტორიკოელი ანხელ ჩაკონის ხელყოფისგან დაიცავს.

# ჰაშეკი ზემოდან

ჩეხი ჰოკეისტის, ნჰლ-ის კლუბ „ბუფალო სეიბრსის“ მეკარის, „დომინატორად“ მონათლული დომინიკ ჰაშეკის საარაკო ოსტატობა მაყურებლების, ჟურნალისტების, ფოტორეპორტიორების და ტელეოპერატორების მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ბუფალოელმა ტელე და ფოტო ჟურნალისტებმა სულაც „პერსონალური მეურვეობა“ დაუწესეს ჰაშეკს და მის თამაშს „მოულოდნელი რაკურსი“ მოუძებნეს — კამერები ზედ კარის თავზე დაუყენეს. 11 თებერვლის ბუფალო — მონრეალის მატჩის ერთ-ერთი ეპიზოდის ასე ასახვაც ამის დასტურია, ეგაა, ამჯერად ნჰლ-ის საუკეთესო ჰოკეისტს ოსტატობით თავმოწონება არ დასცილდა — მონრეალელი ტერნერ სტივენსონი ისე დაეძგერა, ყინულზე გაშოტა.



REUTERS ბუფალოდან



REUTERS დაიტონიდან

*დაიტონ-500-ის ლეგენდარულ ტრასას თმების ყალყზე დამყენებელი არაერთი ავარია ახსოვს. ამ დღეებშიც ნასკარელმა „პონტიაკებმა“ და „შევროლეტებმა“ მორიგ მოსახვევში შესასვლელი ვერ გაიყვეს და...*


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო აჩვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29